ახალგაზრდა ვერიელი

გამოსცემს 1921 წლიდან

ხუთშაბათი
13
სექტემბერი
№ 99 (11585)
1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ჩვენი ისტორიაა



ვეჯინის ციტადელი

მე-15-16 საუკუნეების სამრეკლო

თამაზ ქიქავას ფოტო.

პუბლიკაცია იხ. მე-3 გვ.

ეს ჩვენი ისტორიაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეგლები და ნაძეგლარები

ვერილი რედაქციას

28 აგვისტოს კიდევ ერთი ძეგლი აიღეს თბილისში.

ოფიციალურმა ხელისუფლებამ ეს ფაქტი „ბელადის“ სახელობის მოედნის მოსალოდნელი რეკონსტრუქციით ახსნა. სინამდვილეში, კი ყველასათვის ცნობილია ვ. ი. ლენინის ძეგლის „დემონტაჟის“ მიზეზები.

მე არ ვაპირებ ჩემი პოლიტიკური მოსაზრებებით მკითხველის შეწუხებას, მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ თავისუფლების მოედანი და მისი შემთგარენი მართლაც საჭიროებს „მოსალოდნელ რეკონსტრუქციას“.

სანამ ძეგლი იდგა, ეს ადგილი ხელშეუხებელ ზონას წარმოადგენდა. თითქოს ყველას — პროფესიონალსაც და ფუნქციონერ მოხელესაც ეშინოდა რაიმე ჩრდილი არ მიეყენებინა ლენინის ძეგლისა და მისი სახელისათვის. არადა დაგროვდა უამრავი სატრანსპორტო, ქალაქგეგმარებითი, მოცულობითი თუ მხატვრული პრობლემა, რომელიც სასწრაფოდ მოითხოვს გადაწყვეტას.

ძეგლის აღებისთანავე ბევრს გაუჩნდა აზრი იმის შესახებ, თუ ვისი ქანდაკება აღიმართოს ამ ადგილას. გვთავაზობენ დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, თავისუფლების მონუმენტების აგებას. არის სხვა წინადადებებიც.

მინდა, ჩემი მოსაზრებაც გაგიზიაროთ.

ჯერ ერთი, არ არის აუცილებელი ნაძეგლარზე ახალი ძეგლის დადგმა, მითუმეტეს, რომ ეს ადგილი სრულებით შეუფერებელია, თუნდაც ძალიან კარგი ქანდაკებისათვის.

მეორე ის, რომ მონუმენტური მხატვრული ნაწარმოების ქალაქში დადგმა აუცილებლად მოითხოვს შესაბამის გარემოსა და ადგილს კომპლექსურ — არქიტექტურულ-მხატვრულ დამუშავებას. ამიტომ, არასწორად მიმაჩნია მსჯელობა მოედნის მომავალ იერსახეზე მხოლოდ იმ კუთხით, თუ ვისი ძეგლი უნდა დაიდგას იქ.

თბილისშიც და საქართველოს სხვა ქალაქებშიც უამრავი შეშფოთებაა გვაქვს ისეთი, როცა ადგილი სრულებით არ შეესატყვისება კარგ ძეგლს, ანდა პირიქით— უსახური და უმაშტაბო ქანდაკება „ამშვენებს“ მოედანს, სკვერს თუ ქუჩას.

აქვე მინდა, კიდევ ერთხელ შეგახსენოთ ერთი საჭირბოროტო საკითხი — რამდენად გამართლებულია წმინდანების პომპეზური ძეგლების აღმართვა, მით უმეტეს, რომ მართლმადიდებლური ეკლესიისათვის საერთოდ მიუღებელია მოცულობითი ქანდაკება. მაგრამ ეს ცალკე მსჯელობის საგანია.

ბატონმა გურამ პეტრიაშვილმა თავის სტატიაში — „ძეგლები უქმად არა დგანან“ („ახალგაზრდა ივერიელი“ 8. IX. 90 წ.), გამოთქვა აზრი თავისუფლების მოედანზე დავით აღმაშენებლის ძეგლის დადგმის თაობაზე, რომელიც ამ საკითხისადმი საზოგადოება გარკვეული ნაწილის დამოკიდებულებასაც გამოხატავს.

შესაძლოა, პროფესიული თვალსაზრისით, პრობლემისადმი ასეთი მიდგომა საკმაოდ ცალმხრივად ჩანდეს, რადგან მასში არ არის გათვალისწინებული მოედნის დაგეგმარების უმთავრესი პრინციპები. მხოლოდ სურვილი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დავადგინოთ, თუ როგორი თავისუფლების მოედანი უნდა გვქონდეს თბილისში.

საჭიროა ნაცადი პროფესიონალის ხელი.

ამასთან დაკავშირებით მაქვს კონკრეტული წინადადება — იქნებ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, არქიტექტორთა და მხატვართა კავშირებმა სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად გამონახონ საჭირო თანხები, რათა **გამოცხადდეს რესპუბლიკური კონკურსი თემაზე: „თავისუფლების მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციისა-რეგენერაციის საპროექტო მოსაზრება“.** უნდა მოეწყოს საკონკურსო პროექტების საერთო-საჯარო განხილვა. კომპეტენტური ჟიურის მიერ გამოცხადდეს გამარჯვებული პროექტი და მაშინ ნათელი გახდება თუ სად, ვისი ძეგლი დაიდგას და დაიდგას თუ არა საერთოდ. გაირკვევა, როგორ იმოძრაოს ტრანსპორტმა, როგორი სახე მიიღოს პუშკინის სკვერმა, რომელსაც დღეს სკვერს ვერც უწოდებს კაცი — იგი უფრო კუნძულს წააგავს.

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

მე კარგად მესმის თუ რამდენი გასაჭირი აქვს დღეს ჩვენს პატარა ქვეყანას, რამდენ რამეს ჭირდება „რეკონსტრუქცია-რეგენერაცი“, მაგრამ თავისუფალი საქართველოს დედაქალაქში, თავისუფლების მოედანიც შესაფერისი უნდა იყოს.

რაც შეეხება დავით აღმაშენებლის ძეგლს.

ჯერ კიდევ შარშან არქიტექტორთა კავშირის ქალაქგეგმარებითი სექციაში მოეწყო ფართო განხილვა, სადაც ბევრი საწინააღმდეგო აზრი გამოითქვა ცნობილი ძეგლისა და მისი ადგილსამყოფელის შესახებ, მაგრამ რესპუბლიკის მოედანზე, თუ არ ვცდები, სამუშაოები მაინც გრძელდება...

კარგი იქნება თუ აღმაშენებლის ძეგლის ახალი ვარიანტი დაიდგმება მისივე სახელობის გამზირთან, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სასწავლებელთა განყოფილების პიონერთა (!!!) სახლის გვერდით მდებარე სკვერში, სადაც ახლა საკმაოდ უმასშტაბო ქანდაკება დგას და რომელსაც სრულიად ფარავს მის წინ მოწყობილი შადრევანი (რა თქმა უნდა, როცა წყალს უშვებენ).

აქვე მინდა გულისტკივილით აღვნიშნო, რომ დავით აღმაშენებლის ფრესკული გამოსახულება, იმ სახით, როგორაც იგი წარმოდგენილია ამავე სკვერის გვერდით მდებარე შენობის კედელზე, დანაშაული თუ არა, ელემენტარული უპატივცემულობაა ჩვენი დიდი წინაპრის სახელის მიმართ.

კოტე ტაბიძე,
არქიტექტორი.

P. S. 9 სექტემბერს კიდევ ერთი ძეგლი აიღეს თბილისში... ავტორის თხოვნით, ჰონორარი გადაირიცხება მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში.

„მსოფლიო მემკვიდრეობა“ და საქართველოს ძეგლები

1989 წლის იანვარში საბჭოთა კავშირი შეუერთდა იუნესკოს მსოფლიო კულტურისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის საკითხთა კონვენციას. სსრ კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიის სამდივნომ შეადგინა ქვეყნის კულტურული და ბუნებრივი ღირებულებების ნუსხის პროექტი, რომლის მიხედვითაც უახლოეს 5-10 წელიწადში „მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში“ შევა ქვეყნის ყველა რესპუბლიკის ისტორიისა და კულტურის 28 ყველაზე თვალსაჩინო ძეგლი. მათ შორის ქალაქი-**მუზეუმი** **მცხეთა,** მცხეთის ჯვარი (დიდი და პატარა ტაძრები) და ზემო სვანეთი.

1988 წლის იანვრისათვის იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შეტანილია მსოფლიოს 67 ქვეყნის კულტურისა და ბუნების 288 თვალსაჩინო ძეგლი. მათ შორის 17 ინდოეთისა, 16-16 ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის, 6-6 ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, იტალიის, მექსიკის და ბრაზილიისა.

კრიტერიუმები, რომლებითაც კომიტეტი ხელმძღვანელობს ღირებულებათა შეფასებისას, დაახლოებით ასეთია: ძეგლი უნდა იყოს ან უნიკალური მხატვრული ნაწარმოები, შემოქმედებითი გენიის შედეგი, ან გავლენას უნდა ახდენდეს არქიტექტურის, მომუნეტური ხელოვნების, ქალაქთმშენებლობის განვითარებაზე.

ტექნიკურმა ცივილიზაციამ წარმოშვა ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის საშიშროება, რაც საფრთხეს უქმნის მთელი კაცობრიობის არსებობასა და კეთილდღეობას. აქედან წარმოიქმნება გენეტიკური და სხვა რესურსების დაცვა-შენახვის საჭიროება, რაც აუცილებელს ხდის **მსოფლიო** მემკვიდრეობის იდენტიფიცირებას. აფრიკის ფაუნის გადარჩენა, მაგალითად, მთელი კაცობრიობის, და არა მარტო აფრიკელი აბორიგენების, მოვალეობაა.

იგივე შეიძლება ითქვას ხელოვნებისა და არქიტექტურის ქმნილებებზე. კონვენციის სიტყვებით რომ ვთქვათ, ვენეციის, ათენის აკროპოლისის, კიევის ან ზემო სვანეთის დაკარგვა ნიშნავს იმას, რომ „მთელ კაცობრიობას წავართვათ მისი სიმდიდრის ნაწილი“.

მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის ~~ფონდს~~ შეადგენენ წევრი სახელმწიფოების სავალდებულო და ნებაყოფლობით შესატანები.

საქართველოს კულტურის ძეგლების შეტანა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ძალზე მნიშვნელოვან და უაღრესად აქტუალურ მოვლენად მიგვაჩნია.

თამაზ ნათიძე,
რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსის მოადგილე.

საკინფორმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი—150

რამდენიმე გაფერმკრთალებული შტრიხი

ივანე ჯავახიშვილს ანუ ძია ვანოს, როგორც მას „ახკომის“ რამდენიმე თაობა ეძახის, ორი დღის წინ 80 წელი შეუსრულდა. ოცი წლის ბიჭი იყო, პრესაში თანამშრომლობა რომ დაიწყო. 50 წელი იმუშავა „ახალგაზრდა კომუნისტში“. იყო ლიტერატურული მუშაკი, განყოფილების გამგე. პენსიაზე გასვლის მერეც არ მიატოვა გაზეთი და გამომშვებად დაიწყო მუშაობა. შეხაშური ენთუზიაზმი და ხალისი ჰქონდა. გაზეთის აწყობის დღეს დილადან საღამომდე არ ჩაიმუხლებდა, არაფერს დაიზარებდა, რაც გაზეთს სჭირდებოდა. ხანდაზმულობის მიუხედავად, თავისი ხურვილით, მივლინებებშიც დადიოდა.

ახლაც, აკაკი წერეთლის 150 წლისთავის საიუბილეო დღეებში, მოიარა აკაკისეული ადგილები და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში გამოაქვეყნა მოპოვებული მასალა. აქედან მიღებული ჰონორარი — 150 მანეთი მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში შეიტანა აკაკი წერეთლის სახელით, როგორც სიმბოლური შენატანი.

ვუსურვებთ ჩვენს უფროს კოლეგას, ძია ვანოს დაბადების 80 წლის თავს და გვჯერა, რომ „ახალგაზრდა ივერიელის“ დღევანდელ თანამშრომლებთან ერთად ამ ჰილოცვას შემოუერთდებიან „ახალგაზრდა კომუნისტის“ ყველა თაობის წარმომადგენლები, ახინი, ვისთვისაც ყოველთვის სამაგალითო იყო ივანე ჯავახიშვილის მხნეობა და საქმისადმი სიყვარული.

ერთხელ კიდევ ვეწვიე მთის კორტოხზე წარმოჩენილ სხვიტორს და იქიდან დავუყევი მგოსნის მიერ ფეხდადგმულ ადგილებს. სხვიტორიდან მთაწმინდამდე გამოვიკითხე მივიწყებული თუ გაფერმკრთალებული შტრიხები და ნიუანსები, ჟურნალ-გაზეთების კომპლექტებში ვეძებნე მისი ბიოგრაფიის დეტალები. საბოლოოდ დადგინდა, რომ ცნობილი რედაქტორ-გამომცემელი გრიგოლ დიასამიძე, რაჭველი ხაბაზი იობ ისაკაძე, პირველი ქართველი კინოოპერატორი ვასილ ამაშუკელი, პოპულარული მხატვარ-კარიკატურისტის, დონის (დავით ნაცვლიშვილის) მამა ლადო ბზვანელი, ლაილაშელი ქველმოქმედი, საზოგადო მოღვაწე იაკობ სეფიაშვილი და სხვა კეთილი ადამიანები რომ არ ყოფილიყვნენ, რომ არა მათი მონდომება, ადვილი შესაძლებელია არც აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობა გამართულიყო 1912 წლის ივლის-აგვისტოში, არც აკაკის ნათელი სახე შემოგვრჩენოდა ეკრანზე და პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმიც გაცილებით გვიან შექმნილიყო.

ამ დიდი ეროვნული ღონისძიების განხორციელება სწორედ მათი ორგანიზატორობით მომხდარა, ფულადი სახსრები კი თბილისელ რაჭველებსა და ლაილაშელებს შეუგროვებიათ. თუ რამდენად კმაყოფილი დარჩა აკაკი ამ მოგზაურობით, ნათლად ჩანს თვითონ აკაკის სიტყვებიდან: „რაჭა-ლეჩხუმში ჩემი სტუმრობა და იმათი დახვედრა სწორედ საარაკო და საზღაარო რამ იყო. ვისაც თავისის თვალით არ უნახავს და თვისის ყურით არ გაუგონია ის, რაც მოხდა, იმას წარმოდგენაც არ შეუძლია ყოველის: გაურჩევლად წოდებისა, სქესისა და ხნოვანებისა, მთელი ორი მაზრა ერთ პირად ფეხზე დადგა და ეროვნულის აღფრთოვანებით ლიტანიობდა მომავალს“. ამ თემაზე აკაკიმ პოემაც (გამოაქვეყნა „რაჭა-ლეჩხუმის“ სათაურით.

როგორც ლადო ბზვანელი თავის წიგნში „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ წერს, გულუხვმა მასპინძლებმა აკაკის ყველგან, არა მარტო დაუვიწყარი ნადიმები გაუმართეს, არამედ სამახსოვრო საჩუქრებიც მიართვეს: ქართული ხონჩები, ვერცხლის მშვენიერი ჯოხი, ძველებური, ოთხგირვანქანახვრიანი ვერცხლის აზარფეში, ოქროს სერა და სხვა. ლადო ბზვანელის შვილიშვილმა, ნათელა ნაცვლიშვილმა მითხრა, აკაკისთან ერთად რაჭა-ლეჩხუმში პაპაჩემის მოგზაურობას ყოველთვის გვახსენებს მისთვის რაჭაში ნაჩუქარი ორშიმოს მაგვარი სასმისი, რომელიც ახლა ჩვენი ნათესავის შალვა ნაცვლიშვილის ოჯახშია დაცულიო.

საინტერესო მასალები გამოქვეყნდა რაიონულ და საქალაქო გაზეთებში. საჩხერის გაზეთმა „მოდინახემ“ დაბეჭდა იეთიმ გურჯის ლექსი „მგოსან აკაკი წერეთელს (აკადმყოფობის გამო)“, რომელიც აშუოის კრებულში ჯერ არ ყოფილა შეტანილი. რაიონულ გაზეთ „ბორჯომში“ დასტამბული წერილის პასუხად სახლს, რომელშიც 1908 წელს დიდი პოეტი ისვენებდა, მემორიალური დაფა უკეთდება. ზესტაფონის, ონის, ბაღდათის, ყვარლისა და გორის რაიონულმა გაზეთებმა აკაკის ცხოვრება-მოღვაწეობის მრავალი მივიწყებული საგულისხმო შტრიხი შეახსენეს მკითხველს.

გაზეთ „სახალხო ფურცლის“ 1915 წლის ერთ-ერთ ნომერში ყურადღება მიიპყრო დ. არონიშიძის წერილმა „აკაკი და მოსწავლე ახალგაზრდობა (მოგონება)“. შემოდგომის მიწურული იყო, — წერს იგი, — სიონის საკათედრო ტაძარში მლოცველთა არაჩვეულებრივ რიცხვს მოეყარა თავი. წმინდა ნინოს „ვაზის ჯვრის“ განსასვენებელ ადგილს მლოცველნი მგოსან აკაკისათვის შესთხოვდნენ ღმერთს დღეგრძელობასა და სიმხნეევს.

გათავდა წირვა. აკაკი გამოვიდა გარეთ, ეჭიზში მას აუარებელი ხალხი ელოდებოდა. გამოჩნდა თეთრი თოვლივით სპეტაკი სხივმოსილი თავი აკაკისა და გაისმა შეგროვილი ხალხის მწყობრი „ვაშაც“. რაღაც გამგმირავი და ღვთიური განცდის მომგვრელი იყო ეს „ვაშა“... ტფილისის ქუჩებს სიონიდან სახაზინო თეატრამდე სადღესასწაულო ელფერი ედო. ყველგან „ვაშათი“ და ქუდმოხდილნი უხვდებოდნენ საქართველოს „უგვირგვინო მეფეს“. ასე მიაცილეს ის სახაზინო თეატრამდე. თეატრის გარშემო მრავალ ხალხს მოეყარა თავი. აქ იყვნენ ყველა წრისა და მდგომარეობის ადამიანნი, უმეტესად გამოირჩეოდნენ ტფილისის ქართველი მოსწავლეები. ზღვა ხალხმა აკაკის მოსვლაზე მხურვალედ „ვაშა“ შესძახა. ყველა ვცდილობდით როგორმე დაკვირვებით გაგვესინჯა იმ ადამიანის ღვაწლმოსილი სახე, რომელიც ნახევარი საუკუნე დაუდგრომლად უმღეროდა საქართველოს მზეს და, რომლის მღერის საგანი იყო — როგორმე ერთობა და თანხმობა დაემყარებია პატარა მიწა-წყალზე მცხოვრებ ქართველთა შორის. მაგრამ წუთიერი იყო ეს განცდა და სულიერი აღფრთოვანება... დაიხურა კარები თეატრისა და ჩვენც მოვწყდით მშვენიერ სანახაობას. აკაკი გაჰქრა, ის მოგვტაცა საზეიმოდ თეატრში მოგროვილმა საზოგადოებამ. დიდხანს ვიყავით ასეთ ყოფაში. ყველას პირის სახეზე ღიმილი და თრთოლვა გვემჩნეოდა. არ გვინდოდა მანამ მაინც გავცლოდით იმ ადგილს, სანამ ზეიმის გათავება შემდეგ კვლავ ვიხილავდით საქართველოს სიამაყე-მშვენებას.

აკაკის შემოქმედების „გედის სიმღერა“ იყო პოემა „ომი“, რომელზედაც იგი მუშაობდა 1914 წლის მიწურულში. 1915 წლის 26 იანვარს ტაძრებმა და ეკლესიებმა გოდების ზარები შემოჰკრეს — აკაკი გარდაიცვალა. 27 იანვრის გაზეთები შავი არშიებით გამოვიდა. პატარა საქართველოს დიდი მეხი დაეცა — ბრძანა მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა. პრესაში გამოქვეყნდა გამოჩენილი ადამიანების, აკაკის დიდი თაყვანისმცემლების მიერ პანაშვიდებისა და დაკრძალვის დროს წარმოთქმული სიტყვები. როგორც „სახალხო ფურცელი“ იუწყება 15 თებერვალს ქართველი ახალგაზრდობის ხმა და გულისნადები დამწუხრებულ საქართველოს გაუზიარა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის წარმომადგენელმა ს. სალაძემ, რომელიც პანაშვიდის შემდეგ გამოვიდა.

ს. სალაძის სიტყვიდან: „დიდებული მგოსანო! მწუხარე სამშობლოსთან ერთად სტირის და გლოვობს შენს დაკარგვას. მოსწავლე ახალგაზრდობა იმ სასწავლებლისა, რომელშიც შენ აღიზარდე... ჩვენთვის უფრო საგრძნობი შეიქმნა ეროვნული დანაკარგი, რადგან გულმდუღარედ აცრემლებული გიმნაზიის ძველი კედლები და მწარედ მტირალი ეზოში მდგარი ასწლოვანი ჭადარი მარადის ერთსა და იმავეს გვიმეორებენ: „აქ დაცქრიალებდა მომავალი ქურუმი ხელოვნებისა პატარა კაკო“ და ჩვენშიც რაღაც უცნაური გრძნობა ღვივის — გრძნობა შენის დიადი სულის სიახლოვისა...

ამ ერთი გრძნობით შეკავშირებული გიმნაზიელების წარმომადგენელნი ცხარე ცრემლებით ვალბობთ შენს სამარეს, უკანასკნელად მუხლ მოდრეკით ვეთხოვებით შენს ძვირფას ცხედარს და ვეამბორებით იმ მიწას, რომელმაც შენ მიგიბარა...

ჩვენ დავბრუნდებით შინ არა გვემულნი სულით, არა სასოწარკვეთილნი, არამედ გამხნევებულნი იმ იმედით, რომ სხივოსანი პოეზია და ცეცხლებრ აღგზნებული ღვთიური სიტყვა არა ერთსა და ორ შემოქმედ თაობას აღგვიზრდის მამულისა და ერის საკეთილდღეოდ.

ჩვენ წავალთ და გავუზიარებთ ამხანაგებს იმ აღფრთოვანებულ სულიერ განცდას, რომელიც ჩვენ გვხვედა წილად ეროვნული იდეით და გრძნობით შეკავშირებულ თანამემამულეთა ხილვით.

დიახ! ჩვენ არ ვსტირით სასოწარკვეთილის ცრემლებით, ჩვენ ვმხნეობთ და შენც იმხნევე, ძვირფასო სამშობლოვ! შესწყვიტე ცრემლთა ფრქვევა და იამაყე მით, რომ აკაკის მშობელი ხარ!“

ლექსებით თუ მოგონებებით თავიანთი უსაზღვრო მწუხარება გამოთქვეს მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ვაჟა-ფშაველამ, დავით კლდიაშვილმა, გრიგოლ რობაქიძემ, გალაკტიონ ტაბიძემ, სიკო ფაშალიშვილმა და სხვებმა.

გრიგოლ რობაქიძემ გაზეთ „კავკასია“ და „სახალხო ფურცელში“ აკაკისადმი შიძღვნილი ჩინებული ნარკვევები გამოაქვეყნა. პირველში წერილი დაისტამბა უსწრაფესად — 28 იანვრის ნომერში. „სახალხო ფურცელში“ სათაურით „აკაკი“ დაბეჭდილი პუბლიკაციიდან კი ვიგებთ, რომ გრიგოლ რობაქიძემ პოეზიის „უგვირგვინო მეფეს“ ქართველთა სიტყვის პირველი ხელოვანი და შოთა რუსთაველის მოციქული უწოდა. გრიგოლ რობაქიძე სიტყვით გამოვიდა სახაზინო თეატრში და ამჯერად სიტყვა აკაკის ხსოვნის დღეს მიუძღვნა. გაზეთმა პირველ გვერდზე უშველებელი ადგილი დაუთმო ფანცხადებას, რომ 8 მარტს შუადღისას თბილისის სახაზინო თეატრში აკაკის დილა ეწყობოდა. ამ ღონისძიების ანგარიში 11 მარტს დაიბეჭდა. რეპორტაჟი განმარტავს, რომ მოჰყავთ გრიგოლ რობაქიძის სიტყვის ჩონჩხი (ეს გამოთქმა გაზეთისაა). ამის მიუხედავად ეს გამოსვლა მაინც თვალსაჩინოდ წარმოგვიდგინა:

„შვება და არა ვაება; ლხენა და არა ტირილი: გენიამ გაიმარჯვა. ქაოსი მსოფლიო ისტორიაში: სიკვდილის ფრთებით აცმული ქარტეხილად ეკლინება იგი სიცოცხლის მწვანე მდელოს და ულმობელ ლეწვას სიცოცხლის საროტარკვეთილის ცრემლებით, ჩვენ ვმხნეობთ და შენც იმხნევე, ძვირფასო სამშობლოვ! შესწყვიტე ცრემლთა ფრქვევა და იამაყე მით, რომ აკაკის მშობელი ხარ!“

ლექსებით თუ მოგონებებით თავიანთი უსაზღვრო მწუხარება გამოთქვეს მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ვაჟა-ფშაველამ, დავით კლდიაშვილმა, გრიგოლ რობაქიძემ, გალაკტიონ ტაბიძემ, სიკო ფაშალიშვილმა და სხვებმა.

გრიგოლ რობაქიძემ გაზეთ „კავკასია“ და „სახალხო ფურცელში“ აკაკისადმი შიძღვნილი ჩინებული ნარკვევები გამოაქვეყნა. პირველში წერილი დაისტამბა უსწრაფესად — 28 იანვრის ნომერში. „სახალხო ფურცელში“ სათაურით „აკაკი“ დაბეჭდილი პუბლიკაციიდან კი ვიგებთ, რომ გრიგოლ რობაქიძემ პოეზიის „უგვირგვინო მეფეს“ ქართველთა სიტყვის პირველი ხელოვანი და შოთა რუსთაველის მოციქული უწოდა. გრიგოლ რობაქიძე სიტყვით გამოვიდა სახაზინო თეატრში და ამჯერად სიტყვა აკაკის ხსოვნის დღეს მიუძღვნა. გაზეთმა პირველ გვერდზე უშველებელი ადგილი დაუთმო ფანცხადებას, რომ 8 მარტს შუადღისას თბილისის სახაზინო თეატრში აკაკის დილა ეწყობოდა. ამ ღონისძიების ანგარიში 11 მარტს დაიბეჭდა. რეპორტაჟი განმარტავს, რომ მოჰყავთ გრიგოლ რობაქიძის სიტყვის ჩონჩხი (ეს გამოთქმა გაზეთისაა). ამის მიუხედავად ეს გამოსვლა მაინც თვალსაჩინოდ წარმოგვიდგინა:

„შვება და არა ვაება; ლხენა და არა ტირილი: გენიამ გაიმარჯვა. ქაოსი მსოფლიო ისტორიაში: სიკვდილის ფრთებით აცმული ქარტეხილად ეკლინება იგი სიცოცხლის მწვანე მდელოს და ულმობელ ლეწვას სიცოცხლის საროტარნიან ლერწამსა... საქართველოს მრავალგზის განუცდია ქაოსის ბედით საშინელება... მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოში ქაოსის ბრძოლა იმართება პატარა გონება, რომლისთვისაც ისტორიაში ყოველი შემთხვევითი და წარმავალია; დიდი გონება, რომლისთვისაც ისტორიაში ყველაფერს აზრი აქვს. ლოგოსი — გენიის სათავე... და გენია ამოტეხს ხოლმე იქაც კი, საცა ფერფლის შეტი არა დარჩენილა რა... და ამოხეთქა კიდეც ქართველთა გენიამ. მისი ნატეხები: ბარათაშვილი, ჭავჭავაძე, ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და აკაკი, რომლის ხსოვნას ჩვენ დღეს აქ ვეზიარებით... ამ ვაჟთა შემოქმედებამ სძლია ქაოსი — და დაფერფლილი, დანაცრული საქართველოიქცა ყვავილად, თეთრგული ლოტოსად. ივერიის ტურფა ასული ეს ლოტოსია. ასე იხილა მგოსანმა იგი და ჩვენც დაგვანახვა იგი. ეს არის ლეგენდა, მაგრამ სინამდვილეზე უნამდვილესი. ეს არის აკაკის მგოსნური საქმე, რომელსაც ვერც ერთი მისი ლექსი ვერ შეედრება.

დაიწვა შთაგონების ფრთა, დაიფერფლა გული: უკანასკნელი მისი ფეთქვა ტურფა ასულს უხმობდა“.

რით ვეზიაროთ აკაკის ხსოვნას? ამასთან დაკავშირებით „გველის პერანგის“ შემოქმედმა ბრძანა: „აქ ამბობდნენ: ქართველებს მრავალი მტერი ჰყავს. შესაძლოა. მე კი სხვა რამ მაფიქრებს: ქართველერს მხოლოდ ერთი მტერი ჰყავს: ეს არის თვითონ ქართველი ერი. პირველყოფილი ცოდო ქართველი ერის ისტორიისა: დაუნდობლობა, გაუტანლობა, შური, ღვარძლი ერთიმეორეში. უნდა მოისპოს ეს ცოდო..“

მკაცრი სიმართლეა, რომელმაც დღესაც ღრმად უნდა დაგვაფიქროს და მჭიდროდ შეგვაკავშიროს, შეგვადუღაბოს. ისეთი სიმართლე და რჩევაა, რომლის ნერგი ქართული ანდაზისა არ იყოს, თუნდაც სიპ ქვაზე დარგო მაინც იხარებს. გრიგოლ რობაქიძის მოწოდება ისეთია, დღესაც რომ გვჭირდება წყალივით და ჰაერივით.

რით უნდა მოისპოს ეს ცოდო? „სწორედ იმ ნიჭის გაღრმავებით, რომელიც აკაკის აცოცხლებდა... ამ ნიჭს, გვმოძღვრავს მწერალი, ორი ციცხლი აქვს: გენიის ციცხლი, რომელიც შემოქმედებით შეიყვანს ქართველობას მსოფლიოში, და გულის ციცხლი, სიყვარულის ციცხლი, რომელიც გაწმინდავს ქართველთა დაბერებულს თვისებას... ვიწვოდეთ ამ ორი ციცხლით... და მაშინ ივერიის ასული პირქუში და თმა-გაწეწილი კი არ მოგვევლინება, — არამედ როგორც მხიარული ქალწული, ტყის უტეხი ტევრით გამოსული, რომელიც ციცხლის რგოლებს ისვრის ზღვის მკერდზე და ზღვის გული იწვის...“

აკაკის თაყვანისმცემლებზე მასალების ძიებაში იმანაც წამახალისა, რომ პირადად შევხვედრივარ გრიგოლ რობაქიძეს, გალაკტიონ ტაბიძეს, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილს, იოსებ გრიშაშვილს, ალექსი ტოლსტოის... ეს უკანასკნელი მაშინ გავიცანი, როცა თბილისში ყოფნის დროს „ახალგაზრდა ივერიელის“ წინამორბედი გაზეთის რედაქციამ მისგან ინტერვიუს აღება დამავალა. მაშინდელი ერთი ჩანაწერი სწორედ აკაკის საიუბილეო დღეებში გამახსენდა. მე აკაკი წერეთლის დაკრძალვის მოწმე ვიყავი, თქვა მან მაშინ. მოვძებნე ალექსი ტოლსტოის პუბლიკაცია, რომელიც სწორედ ამ სიტყვებით იწყება. მისი „აკაკი წერეთელი“ ალექსი ტოლსტოის 1949 წელს გამოცემულ რჩეულ ნაწერებში და 1967 წელს თბილისში გამოცემული წიგნის „მეგობრობის მატიანის“ მეორე ტომში შევიდა. მასში ავტორი შესანიშნავად ხატავს დიდი მგოსნის ლიტერატურულ პორტრეტს. სხვა ამდაგვარ ნაწარმოებებთან ერთად ალექსი ტოლსტოის „აკაკი წერეთელიც“ სწორუპოვარი მგოსნის ბეჭდვურ ძეგლად უნდა ჩაითვალოს. იგი მას ახასიათებს როგორც ხალხთა მეგობრობის ტრფიალს, ტარას შევჩენკოს დიდ პატივისმცემელს და დაასკვნის: „ქართული ლიტერატურის დიდებულ სახელთა შორის აკაკი წერეთელი შეიძლება დავაყენოთ შოთა რუსთაველის გვერდით“.

„მე, იხსენებს ა. ტოლსტოი, აკაკი წერეთლის დაკრძალვის მოწმე ვიყავი. დავინახე თუ როგორ გამოეთხოვა საყვარელ პოეტს დაობლებული ქართველი ხალხი, როგორ გამოიტირეს ეს განსაცვიფრებელი ადამიანი, რომელიც უყვარდათ და იცნობდნენ ყველაზე მიყრუებულ სოფლებშიც კი. მაშინ აღვიქვი თუ ვინ იყო აკაკი წერეთელი ხალხისათვის“.

„პეტრე პირველის“ ავტორს არც ახალგაზრდა თაობა გამორჩენია: „ჩვენს ახალგაზრდა საბჭოთა პოეტებსა და მწერლებს შეუძლიათ ბევრი ისწავლონ უნიჭიერესი და თავმდაბალი, საკუთარი თავისადმი მომთხოვნი დაუოალავი მშრომელის — აკაკი წერეთლისაგან“.

ივანე ჯავახიშვილი,
საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, ჟურნალისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ჩვენი ისტორიაა









ვეჯინის ხუროთმოძღვრული ანსამბლი

ვეჯინი ჰერეთის, შემდეგ კახეთის სამეფოს მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. წყაროებში იგი პირველად ვეჟინის სახელწოდებით მე-10 საუკუნის დასაწყისში მოიხსენიება. მე-11 საუკუნის 80-იან წლებში დავით აღმაშენებლის მამამ მეფე გიორგი მეორემ სცადა ვეჯინის შემოერთება, მაგრამ უშედეგოდ.

სოფლის განაპირას მაღალ გორაკზე მდებარე ვეჯინის ციხე X-XI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლია — რიყის ქვით ნაგები, საუკუნეთა განმავლობაში არაერთხელ გადაკეთებული. საფუძვლიანად ციხე მე-18 საუკუნეშია გადაკეთებული.

ციხე ორი ნაწილისაგან შედგება. ზედა ციხის (ციტადელისა) და ქვედა ციხისაგან. ციტადელშია გახლაგებული ძირითადად მე-14-15 საუკუნეების რამდენიმე სამონასტრო ნაგებობა: ღვთაების ეკლესია, აღდგომის ეკლესია, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია ორსართულიანი აგურის სამრეკლოთი და სხვა. კომპლექსში შემავალ ნაგებობათაგან მხოლოდ მე-14-15 საუკუნეების აგურის სამრეკლოა უცვლელად მოღწეული. სხვა დანარჩენს ყველას გადაკეთების კვალი ატყვია. აგურის სამრეკლო ღვთისმშობლის ეკლესიაზეა მიდგმული.

ვეჯინის კომპლექსზე სარესტავრაციო სამუშაოები დაიწყო 1986 წელს. იგი დღესაც გრძელდება. გაწმენდვა-გასუფთავების შედეგად ციტადელის ტერიტორიაზე აღმოჩნდა მღვდელ მსახურთა საცხოვრებელი. ციტადელის ტერიტორიაზეა აღმართული გალავნის მრავალსართულიანი კოშკი.

დიდი ყურადღება ექცევა სწორედ ვეჯინის ციტადელის ზღუდეგალავანს. მას სასწრაფოდ უნდა ჩაუტარდეს გამაგრებითი სამუშაოები. ასეთი სამუშაოები უნდა შესრულდეს გალავნის რიგ სხვა უბნებზედაც. ყურადღებას მოითხოვს ციტადელის ავარიულ მდგომარეობაში მყოფი მრავალსართულიანი კოშკიც. რიგ ადგილებში საძირკველს მიწა აქვს გამოცლილი, ამის გამო ზღუდის კედლები პირდაპირ კლდეზეა გადაკიდებული. არსებობს ციტადელში სამუშაოს წარმოების საპროექტო დოკუმენტაციაც. რესტავრატორები სამშენებლო მასალების სიმცირეს უჩივიან, საწარმოო ბრიგადების მუშაობა ხშირად ფერხდება. ძეგლი კი გამუდმებულ ყურადღებას მოითხოვს. საჭიროა რაციონალური, სწორი საწარმოო ორგანიზაცია, რათა ობიექტების აღდგენა-განახლება და ჩაბარება არსებული გრაფიკის მიხედვით დამთავრდეს.

ვეჯინის ციხის კომპლექსს თვით სოფლის აქტივისაგან სჭირდება მეტი ყურადღება და გულისყური. ვეჯინი მთელი ქართველი ხალხის საკუთრებაა და სიამაყე ათასწლოვანი ჭირგადახდილი ისტორიისა.

სოფელ ვეჯინში სხვა მრავალი ხუროთმოძღვრული ნაგებობაც შედის. წლის ბოლოსათვის რიგ ძეგლებზე, როგორიცაა ცხრასაყდრის კომპლექსი, წმინდა სტეფანეს, ნათლისმცემლის ეკლესიები და სხვა, სარესტავრაციო სამუშაოები დაიწყება.

განსაკუთრებული სინატიფით გამოირჩევა ვეჯინში ცალკე მდგომი მაღალყელიანი ყველაწმინდის გუმბათოვანი ეკლესია. თავდაპირველად იგი ბაზილიკური ყოფილა, რიყის ქვით ნაშენი. შემდგომ, მე-17 საუკუნეში იგი აგურით ნაშენ ცენტრალურ-გუმბათოვან ტაძრად გადაუკეთებიათ. ტაძარი გუმბათის შესამჩნევად მაღალი ყელით გამოირჩევა, მას კამარები და კედლები ჩამოქცეული ჰქონდა. რესტავრატორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კამარები აღდგენილა, ტაძარი კრამიტით გადაიხურა, გუმბათის ყელის კონუსიც აგურისავე დარჩა. აღდგენა-რესტავრაციამ ტაძარს ახალი პეწი და მომხიბვლელობა შემატა.

ასევე აღადგინეს პეტრე მოციქულის სახელობის ბაზილიკაც. მისი კამარა აღდგა, გაიწმინდა ძეგლის ტერიტორია, აღადგინეს სამხრეთის კედელი თავისი კარნიზებით. ტაძრის დეკორი (თაღებზეა საუბარი) განთავისუფლდა გვიანდელი მინაშენებისაგან და რაც მთავარია, ძეგლი გადაიხურა. ტაძარს ახლაც ატყვია ძველი ეკლესიის კედლების კვალი.

საინტერესო ნაგებობას წარმოადგენს იქვე მახლობლად მდებარე მე-18 საუკუნის ხუთსართულიანი აღდგენილი მრგვალი კოშკი. კოშკს მეზუთე სართულზე საბრძოლო ბაქანი გააჩნია. უახლოეს ხანში მრგვალ კოშკში განზრახულია სოფელ ვეჯინის სამუზეუმო-საეთნოგრაფიო ექსპონატების გამოფენა-ჩვენება. სოფელ ვეჯინის ხუროთმოძღვრული ძეგლების აღსადგენად მუშაობა არ დაიშურეს სოფლის მკვიდრებმა — ვალიკო სეფიაშვილმა, კარლო მამულაშვილმა, თემო ჯამატაშვილმა, ილო სონღულაშვილმა, მიხო მამულაშვილმა, გელა ჭანყოშვილმა, დურმიშხან მთივლიშვილმა და სხვამ. სამუშაოთა მწარმოებელია შოთა ომიაძე.

მთელს ვეჯინის კომპლექსს უძღვება სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანების არქიტექტორ-რესტავრატორი სოფელ ვეჯინის მკვიდრი ირაკლი მოსულიშვილი.

თამაზ ქიქავა

ავტორის ფოტოები.

რეზო თაბუკაშვილი

ეს ჩვენი ისტორიაა

დღე ღამით იცვლება, ღამე დღით. მრავალმა დღემ განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენგან ბატონი რეზო თაბუკაშვილი წავიდა. თითქოს ჯუშინ იყო, ძველი კონსტუდიის ეზოში რომ ვიდექით და ვსაუბრობდით თეატრზე, ცხოვრებაზე, სამომავლო გეგმებზე. რეზო ინტერესით მოგისმენდა, რჩევას მოგცემდა, ერთი-ორს გონებამახვილურად წაიხუმრებდა, მერე კი მოულოდნელად მოსწყდებოდა ადგილს და სამუშაოს მიაშურებდა, მორიგი ფილმის მზადებით გატაცებული. ამ განუმეორებელი ფილმების ნახვისას პირველ ყოვლისა თავად რეზოს პიროვნება მხიბლავდა და მაოცებდა: უამრავ სირთულეს შერკინებული (აუარება ხალხი, საორგანიზაციო საქმეები, დოკუმენტები...), დასახული მიზნის მიღწევით შეპყრობილი და რაგინდ რთული საქმის მუდამ კეთილად დამსრულებელი, თითქმის არაფრიდან, არარსებული მასალიდან მთელი სამყაროს აღმდგენელ-გამაცოცხლებელი—ასეთად აღიბეჭდა ამ ფირებზე ბატონი რეზო. მთელი საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით და ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალყურს ამ უნიკალურ გამოკვლევა-მოგზაურობებს, თავად რეზოს, დაუღალავ მაძიებელსა და აღმომჩენს. ბატონი რეზო ნაბიჯ-ნაბიჯ, მტკიცედ, თავგამოდებით ეძებდა ამჟამად მთელს მსოფლიოში მიკარგულ-მომოფანტულ კვალს მდიდარი ქართული კულტურისას, ავტორის უაღრესად მორიდებულ კადრსმიღმა თხრობაში კი არასოდეს ესმება ხაზი ესოდენ დიდი მისიის განსაკუთრებულობასა და მნიშვნელოვანებას, თხრობა ზედმიწევნით სადა, უბრალო, საქმიანი თანამდევია უნიკალური კადრებისა. ფილმები გვისახავენ არა მარტო ძიების პროცესს, არამედ თავად რეზოს პიროვნებას, თავისი განუმეორებლობითა და ღირსებით.

ძველი კონსტუდიის ეზო კვლავინდებურად არსებობს, მხოლოდ რეზო აღარ არის ჩვენ შორის. რა უცნაურია ყოველივე ეს! ნეტავ სად მიდის ყველა?! დანაკარგის სიმწარე და ტკივილი ხიფეს გვიშლის სათანადოდ გავიაზროთ მომხდარი უბედურების სიდიდე, მასშტაბურობა. მაგრამ გადის დრო და სულ უფრო აშკარა ხდება, რომ რეზო თაბუკაშვილის შეცვლა ანდა მისი განმეორება შეუძლებელია. როდესაც მომხდარზე ვფიქრობ, მიჭირს იმის დაჯერება, რომ რეზო ჩვენ შორის აღარ არის. მინდა ვიფიქრო, რომ ის, ამქვეყნიურ მიჯნას გადაცილებული, სადღაც იქ, სხვაგან, იმ დაკარგულ სამყაროში იმყოფება, რომლის ნაკვალევსაც ასე დაუცხრომლად ეძებდა თავად. იქნებ ახლაც, სადღაც იქ, ენთუზიაზმითა და ცხოველი ინტერესით აღსავსე კვლავ რაღაცას ეძებს, იქნებ ხვდება კიდეც იმ ადამიანებს, ვინაც მრავალი წლისა თუ საუკუნის წინ დატოვა საქაო. ეგებ ასე სჯობს ვიფიქროთ და ამით დავინელოთ განშორების ტკივილი. რატომ მიდიან ასე ნაადრევად საუკეთესონი, — ხშირად მიკითხავს საკუთარი თავისთვის, — რატომ მაინცდამაინც ისინი?! ალბათ, იმიტომ, რომ ცუდი, ბოროტი ადამიანები კვალს არ ტოვებენ, მათ წასვლას რაღაცდაგვარად ვერც კი ვამჩნევთ. როდესაც ჩვენგან მიდის ისეთი პიროვნება, როგორიც იყო რეზო თაბუკაშვილი, საზოგადოება ღარიბდება, ეკარგება სილამაზეც.

რეზო და მედიკო ჩვენი მეზობლები იყვნენ, ჩვენ ხშირად დავდიოდით ერთმანეთთან სტუმრად. ერთელ რეზო მოვიდა და საჩუქრად მოგვიტანა თავისი ნათარგმნი შექსპირის სონეტების კრებული (რა მშვენიერი თარგმანია! რა მშვენივრად კითხულობდა რეზოც!). მერე უცებ მაგიდიდან აიღო ფურცელი, ნახშირი და რამდენიმე წუთში ჩემი პორტრეტი გააკეთა. აქამდე ვინახავ ამ ნახატს. რეზო წერს პიესებს, თარგმნის, იღებს ფილმებს, აი, თურმე ხატავს კიდეც! სახტად დავრჩი, იმდენად მოულოდნელი იყო ეს ჩემთვის. ბუნებას მართლაც უხვად დაუჯილდოვებია ეს ადამიანი ნიჭიერებით. რეზო მართლაც-და განსაკუთრებული იყო, სხვათაგან გამორჩეული ინტელიგენტობით, თავშეკავებულობით (რომლის მიღმა მისი მგზნებარე ბუნება გამოსჭვიოდა მუდამ), განხთლებულობით, წესიერებით, სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო. ბატონი რეზოს მშობლები ქართველი ინტელიგენციის იმ თაობას ეკუთვნოდნენ, რომელსაც საუკუნის დასაწყისის ქართული კულტურის მთელი პერიოდი აქვთ შექმნილი. ესენი განსაკუთრებული კატეგორიის ადამიანები იყვნენ, ინტელიგენტ - განმანათლებელნი, არაჩვეულებრივად დემოკრატიული შეხედულებების მქონენი, შემწყნარებელნი, ლმობიერნი, კაცობრიობის კულტურის საუკეთესო ტრადიციების მატარებელნი, ეროვნული საქმის მოამაგენი. მათთვის ათი მცნება ბოლო წლების აღმოჩენა როდი იყო, არამედ ეს მათი ქცევისა და არსებობის ბუნებრივ წესს შეადგენდა, ეს იყო მათი რწმენა და ცხოვრებისეული პრინციპი. სხვაგვარად მათ ვერც კი წარმოედგინათ არსებობა. ეს სულიერი სიმდიდრე გენეტიკურად გადაეცემოდა მათ შთამომავლობას.

რეზო თაბუკაშვილი თავისი დაუღალავი მოღვაწეობით დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. დამოუკიდებელი საქართველოს იდეის ერთგული, ბოლო წლებში იგი ყველა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პროცესის აქტიური მონაწილე იყო. ამა თუ იმ მოვლენის შეფასებისას მეტად თავშეკავებული, მტკიცე და მგზნებარე ოპონენტებთან კამათისას, ის არაჩვეულებრივად ფლობდა საუბრის, დიალოგის ხელოვნებას. აუჩქარებელი, დინჯი, დამაჯერებელი საუბარი იცოდა. იგი თხემით ტერფამდე დიპლომატი, ლიდერი, ხელმძღვანელი იყო.

ნეტავ სად მიდიან ისინი?! სად მიიჩქარიან?! არ მინდა დაგიჯერო, რომ სიკვდილის ზღვარს იქით უკუნეთია მხოლოდ და სხვა არაფერი. ზოგჯერ მგონია ხოლმე, იმ ქვეყანას წასულები სადღაც ვეება კაკლის ხის ჩრდილქვეშ განისვენებენ (რა კარგად აქვს ეს აღწერილი დავით კლდიაშვილს!) და ჩვენს ყოველდღიურ ჭირ-ვარამზე ფიქრობენ, ბჭობენ.

მარადი იყოს ბატონი რეზოს ხსენება. მუდამ კეთილად, მშვიდობიანად გაგრძელებულიყოს ეროვნული საქმენი მისი.

მიხეილ თუმანიშვილი

10. 9. 90.

საქართველოს სახალხო პარტიის წევრთა საყურადღებოდ

15 სექტემბერს პარტიის რეზიდენციაში (თბილისი, რუსთაველის გამზირი 29) მოწვეულია საქართველოს სახალხო პარტიის საერთო პარტიული კონფერენცია, რომელზეც დამტკიცდება საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა პარტიული სია.

პარტიის ყველა წევრისა და მომხრის დასწრება სავალდებულოა.

ზაზა სიხარულიძე,

საქართველოს სახალხო პარტიის წევრი, სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა პარტიის პრეზიდენტი.

ᲚᲘᲐ ᲭᲔᲠᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ ᲬᲕᲠᲝᲜ Ბ. ᲭᲘᲗᲐᲜᲐᲕᲐᲡ

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ორგანოს ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მთავრობა, მოუხედავად თქვენი დიდებისთვის დამოკიდებულებისა ამ საკითხისადმი, თუნდაც ბიურო-ტრატიული აპარატის ხელაღებილითა და ყველანაირ ეჭვის, ამბოხის, მეთვალთვალის, ეროვნულობა და თვეზის გადამაშფოთებელი საწყინარის ინიციატივით ამ წლის 31 ივლისს საქართველოს მეფეზეთის სამეცნიერო-საწარმოო კონცერნის „საქთვეზეზეურეთის“ წესდების რეგისტრაციაზე. ჩვენი მოძრაობა ამ საკითხს ორ გამამწყალებელ ეკონომიურ ფაქტორ ეფუძნება. ესაა: ეროვნულად მნიშვნელოვანი ბრძოლა, ბრძოლა, რომელშეც ლიმონოელთა მთელი მმართველობის ბიუროკრატიული აპარატი და რამაც ქვეყანის ეკონომიკას კიდევ ერთხელ ფანტასტიკური ზარალი მოუნანილა. სწორედ ეს ორნაირ ფაქტორი მონაპოლეობა. ეროვნულ ეკონომიკაში მონაპოლეობის დიდ-ფარგა ალიარების ნაცვლად, ეროვნულ საკითხად მონაპოლეობა საბჭოს ფასიანსაწყვეტი ფარგალისა და ფინანსურ-ეკონომიკურ ბიუროებად ანაწილებენ. სწორედ ეს ორ-ორნაირ ფაქტორ ეფუძნებოდა ეროვნული ეკონომიკის ბიუროკრატიზაციის ინიციატორ ბ. ლ. ბერიას ბრალდებანი. ბ. ლ. ბერიას ბრალდებანი ეროვნულ ეკონომიკაში ბიუროკრატიზაციის ინიციატორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ეროვნული კონგრესის შესახებ

ღია წერილი გიორგი ჭანტურიას

სიმართლე გითხრათ, გიორგი ბატონო, ამ ბოლო ხანს იმდენი ოია წერილი დაიბეჭდა პრესაში, რომ, ერთი პირობა, ისიც კი ვიფიქრე, წერილს პირადად მივწერ ან სათქმელს უშუალოდ ვეტყვიმეთქი, მაგრამ, ვინაიდან, როგორც თავად აღნიშნავდით გაზეთ „ქართულ ფილმში“ ა. წ. 29 აგვისტოს დაბეჭდილ წერილში — „საუბარი ეროვნული კონგრესის შესახებ“, რომ „... მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ან საერთოდ დუმან ეროვნული კონგრესის თაობაზე, ანდა, თუ ლაპარაკობენ, უარყოფითი კუთხით“-ო, გადავწყვიტე გაზეთის მეშვეობით გამენდო თქვენთვის რამდენიმე მოსაზრება.

თქვენ წერთ, რომ „ზოგიერთმა თვალსაჩინო ინტელიგენტმა“ არც კი იცის რა არის კონგრესიო.

„თვალსაჩინო ინტელიგენტობის“ პრეტენზია შეიძლება ბევრს გაეჩნდეს, მაგრამ კაცმა რამდენიც არ უნდა იძახოს ინტელიგენტი ვარო, მას არავინ დაუჯერებს, პირიქით, შეურაცხადად ჩათვლიან შერაცხადნი. ინტელიგენტურობა ხალხისაგან ნაბოძები ტიტულია, რომელიც, მოგეხსენებათ, ისეთი კატეგორიაა, რომელსაც ვერანაირი პარტიის (რაგინდ პროგრესულიც არ იყოს იგი) დადგენილებით ვერ მოიპოვებ. დადგენილებები რომ ბოლშევიკურ პარტიას მიუღია, მრავალი არქივის კედლებს ბზარავს ახლა დაუტევლობით, მათში, კაცმა რომ კარგად მოიძიო, ისეთ დადგენილებასაც კი იპოვი, სსრკ ყველა მოქალაქე ლამაზი უნდა იყოსო, მაგრამ იმ დადგენილებათა ფონზე ადამიანმა, გენურად რომ გააჩნდა, ის ცხვირ-პირიც კი დაკარგა; ე. წ. კომუნისტური მორალის ყოვლისშემძლეობის შიშველმა კონსტატაციამ იმგვარი შთამომავლობითი კრედო გვიბოძა, რომ იმავ პარტიის მიერ ნატყორცნ მოწოდებაზე — ზნეობრივად განვიწმიდოთო, ხმა ამოვიღოთ და ერთმანეთს სათქმელგასაგონებელი გავაგონოთო, — იმნაირად ამოვიღეთ ხმა, რომ ახლა ჩვენვე გვაოცებს ჩვენში შეუუჭეული და აწ გაცხადებული უზნეობის ნიმუშები. ალბათ, არც შეიძლებოდა სხვანაირად მოხდარიყო. გარემო, ის მიკრო და მაკროგარემო, რომელიც დაგვიმკვიდრეს, რომელშიც აღვგზარდეს (ცხადია, მისდამი, მეტ-ნაკლები პროტესტის გამჟღავნებით), გადმოსულია ჩვენში და ამიტომ ვიმყოფებით პარადოქსულ მდგომარეობაში: ერთი მხრივ, გაცნობიერებულად, ვებრძვით ამ გარემოს, მაგრამ, მეორე მხრივ გაუცნობიერებლად, ქვეცნობიერად, ეს გარემო ჩვენშია. საოცრად წააგავს ერთმანეთს ჩვენი შინაგანი ბუნება და სოციალური გარემოცვის ბუნება. სწორედ ეს იწვევს გაუცხოების, გაუცხოებულობის პარადოქსს, „მოკლე ჩართვას“! სხვა სიტყვებით, იმის თქმა მსურს და, ყოველგვარი ფსევდოკომპლიმენტის გარეშე მწამს რა თქვენი ნიჭიერების, მინდა გამიგოთ, რომ ახლა, ჩვენს დღევანდელ ყოფაყოფიერებაში; ჩვენი პოლიტიკური ცივილიზებულობის ამჟამინდელ ეტაპზე, რამდენიც არ უნდა ვეძახოთ ერთმანეთს „შე ბოლშევიკო“, „ნეობოლშევიკო“ , თუ „ნაციონალ-ბოლშევიკოო“, ეს იგივეა, ერთმანეთს რომ ასე მივმართოთ — „წადი შე ჩემნაირო!“

ისეთ მდგომარეობაში, . როცა, ღვთის წყალობით, ღვთისშობლის წილხვედრ, მაგრამ მის მადლს გვარიანად დაშორებულ საქართველოში, მაინც გაგვაჩნია უზენაესი მიზანი — თავისუფლება, როგორც ვხედავთ, საშინლად გვიჭირს სწორედ თავისუფლების საერთო-სახალხო ნების გამოხატვა.

გვაქვს თუ არა უფლება ვიკითხოთ, რომ თუ ჩვენი, ცალკეული ინდივიდუუმების, პიროვნებების ნება გარკვეულწილად დეფორმირებულია საზოგადოებრივი გარემოთი, მაშინ ამგვარად დეფორმირებულად ხომ არ ვლინდება ხალხის ნებაც, რომელთაგანაც, ვისაც არ ეზარება, ყველა გადადის დამმოძღვრელ სადღეგრძელოალაერდს. ყველას, მით უფრო, ასპარეზზე გამოსულ, ხალხში, მისი ერთი ნაწილის ცნობიერებაში დაფიქსირებულ ცნობილ პოლიტიკურ პარტიებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს მომავლის, მისი თავისუფლების მხოლოდ მათეული პოლიტიკური კონცეფციაა ხალხის უტყუარი და საყოველთაო ნების გამომხატველი!..

თუკი ამ კონტექსტში შევხედავთ პიროვნების ნებისა და ხალხის ნების თანაფარდობას, უსათუოდ უნდა ვთქვათ, რომ ამგვარ თანაფარდობაში განმსაზღვრელის როლს ასრულებს ხალხის ნება, ამ უკანასკნელზე ცალკეულ პიროვნებათა ნების მარადჟამ მნიშვნელოვანი უკუზემოქმედებით. ჩვენში კი რა მდგომარეობაა? ცალკეული პიროვნებები, ცხადია, მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც ცნობილები (უპირატესად, გარკვეული პოლიტიკური ძალების ლიდერები), ხალხს, რომელთათვისაც ბევრი არაფერი უკითხავთ, უმტკიცებენ თუ რა არის მათი ნება. მე, პირადად, გასაოცარს ვერაფერს ვხედავ ამაში, რადგან ამგვარი კონსტატაციით ხალხის ნება დინამიკაში მოდის, რაც ამ ნების კულტურაში უსათუო ცვლილებებს იწვევს, მაგრამ ამ ცვლილებებს გააჩნია მეორე მხარეც: განსხვავებული პოლიტიკური ძალების მიერ ხალხის ნების განსხვავებული კონცეპტუალური შეფასება ხალხის ცნობიერებაში საკუთარ ნების ავტონომიურობაში დაეჭვებას იწვევს: პოლიტიკურ-კონცეპტუალური შეფასებასა და საკუთარი ნების გაცნობიერებულ რეალობას შორის გაუცხოების ბზარი დიდდება და მით უფრო ღრმავდება, რაც უფრო ღრმავდება დაპირისპირება ხალხის ნების შემფასებელ პიროვნებებსა და მათს პოლიტიკურ კონცეფციებს შორის.

აქ მოტანილი მცირეოდენი განსჯის შემდეგ, თქვენი მოსაზრებების კვალდაკვალ, თქვენთან ერთად მეც მსურს ვიფიქრო ხალხის ნების გამომხატველ ორგანოზე, იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს იგი. რაზან სიტყვა, „ორგანოზე“ ჩამოვარდა, ისიც უნდა ვთქვა, რომ კომპარტიის ბეჭედვითი ორგანოები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თავის გვერდებს უმტკივნეულოდ უთმობს ოპოზიციას და ამით კარგ საქმესაც აკეთებს საერთოდ და, უკეთებს საკუთარ თავსაც („ირემი“ იჯანსაღებს თავს „მგლის“ ფონზე)!...

მაშ ასე: **ეროვნული კონგრესი** — როგორც ქართველი ხალხის ნების გამომხატველი ორგანო, — როგორ გვესახება ის?

ამთავითვე გაუწყვეთ, რომ მე ეროვნული კონგრესის იდეის წინააღმდეგი არა ვარ. მე მომხრე ვარ. ასევე წინააღმდეგი არა ვარ არცერთი სხვა იდეისა, თუნდაც უტოპიურისა, რომელიც საქართველოს განთავისუფლების სურვილის მატარებელია. მაგრამ როგორ დაგეთანხმოთ იმაში, რომ საერთოდ არ გსურთ ლაპარაკი ეროვნული კონგრესის მოწინააღმდეგეებთან, თუკი ასეთები, მიზეზთა და მიზეზთა, გაუაზრებელთა თუ გააზრებულთა გამო, ნახევარ საქართველოზე მეტს შეადგენენ. რა გამოდის? კაცი იბრძოდე ხალხის, ერის ნების გამომხატველი ორგანოს შექმნისათვის და ნახევარი საქართველოს აზრს არ იზიარებდე? თქვენ, ბუნებრივია, კითხვას კითხვითვე შემიბრუნებთ და მკითხავთ: საიდან მოიტანე, რომ ნახევარი საქართველო ეროვნული კონგრესის წინააღმდეგიაო? აკი გეუბნებით, ბატონო გიორგი, რომ წინააღმდეგი იქნებ არცერთი ჭკუათმყოფელი ქართველი არ იყოს ეროვნული კონგრესის იდეისა, მაგრამ ის, ვინც ამ იდეაში თქვენთან ერთად არა დგას, არც თქვენი მოწინააღმდეგე არაა და ნურც მათს (თუნდაც „გაუცნობიერებელ) ნებას დაუპირისპირდებით, რადგან კონგრესის იდეა უბრალოდ უცხოა მათთვის. რაც შეეხება იმ პიროვნებებს. რომლებიც პოზიციურად უპირისპირდებიან კონგრესის იდეას და, შესაბამისად, ამ იდეის — მატარებელ პიროვნებებს, უნდა გვახსოვდეს, რომ პოზიციური დაპირისპირება, სამწუხაროდ, პიროვნულ დაპირისპირებაში გადაზრდილი, ჩვენივე ხალხს უპირისპირებს ერთმანეთს, მათს ნებას უპირისპირებს ერთმანეთს. ხალხი ამ შემთხვევაში საკუთარი ნების დამაფიქსირებელ პიროვნებებს მისჩერებია და როცა ხედავს, ისმენს და კითხულობს, რომ პოზიციური დაპირისპირება ჩრდილებს, უკანა პლანზე იწვევს პიროვნულ დაპირისპირებათა ფონზე, ვერაფერში გარკვეულა. ხალხი გაიყო, მათი ნება გაიყო. იქნებ სანახევროდაც და მეტადაც! თუ ნაღდად ხალხის ნების გამოვლენა და გამოხატვა გვსურს, ყოველგვარი პიროვნული წყენა და ტკენა უნდა ავიტანოთ, შეურაცხყოფის თუ დამცირების ტვირთიც ჩუმად ჩვენვე ვზიდოთ, ხალხის ისედაც დამძიმებულ მხრებს ზედმეტად ნურაფერს ავკიდებთ, მარეგა. რაკი სახალხო ფრონტი არსებობს და არსებობს ხალხით, არა გვაქვს უფლება ხალხის ნების უმნიშვნელოვანეს ნაწილს მავნეობის კვალიფიკაცია მივცეთ. სულ სხვა საკითხია ის, რომ, როგორც თქვენ ბრძანებთ, ერს ბრმა ლიდერები უძღვებიან უფსკრულისაკენო. ერის ნების თვალი ყველაზე მახვილია და ნურავის გვეკნება იმის პრეტენზია, რომ მხოლოდ „ბრმა ლიდერის“ შეძახებაზე გაუტევს ერი უფსკრულისაკენ; იგი ან „ლიდერს“ მოიცილებს, ან მას თავის თვალსაწიერს დაანახვებს. ცოტა უხერხული ხომ არაა ბრმა ვუწოდოთ ადამიანებს, რომლებიც ჩვენს გაჩენამდე ხედავდნენ იმას, რასაც ჩვენ ახლა ვხედავთ. ისე კი, „შეხედველობის ხარისხსაც“, საბოლოო ჯამში, ხალხი განსაზღვრავს.

თქვენ წერთ, რომ „უზენაესი საბჭო მრავალპარტიულობის შემთხვევაშიც კი (ცენტრი წავიდა კიდეც მრავალპარტიულობაზე, თამაშობს უკვე მრავალპარტიულობას) ვერ იქნება პარლამენტი, რადგან პარლამენტი მრავალპარტიულობის გარდა უნდა აკმაყოფილებდეს კიდევ ერთ ძირითად და მთავარ მოთხოვნას — უფლებამოსილი უნდა იყოს, რეალური, საკანონმდებლო ინიციატივის ძალა უნდა ჰქონდეს“.

ჯერ იმაზე შევთანხმდეთ, რომ პოლიტიკა საერთოდ თამაშის სფეროა. უკეთ ამაზე შევთანხმდებით, მაშინ „ცენტრის მიერ მრავალპარტიულობის თამაშიც“ ჩავთვალოთ დიდი პოლიტიკური „ტურნირის“ ერთ-ერთ ტურად. მთავარი, ჩემი აზრით, ამ ტურის უსათუოდ მოგებაა, ვინაიდან ფრე არსებულ სტრუქტურებს შეგვინარჩუნებს, წაგება კი, ღმერთმა დაგვიფაროს, — ძველში დაგვაბრუნებს. ხოლო, რაც შეეხება თქვენს ეჭვს, კარგი კანონების მიღების შესახებ, რომლებიც ცხოვრებაში არ განხორციელდება, მთლად დამაჯერებლად არ მეჩვენება, რადგან, ერთი საქმეა ცენტრში მიღებული კანონების ჩვენს საკანონმდებლო ინიციატივად „გასაღება“, ხოლო მეორე — ჩვენს მიერ მიღებული კანონები, რომელთა მიღებასაც ცენტრი მისთვის სასურველ ინიციატივად ვერა და ვერ ჩათვლის. ამ გარემოების გამო, ახალი უზენაესი საბჭო, როგორიც არ უნდა იყოს დღეს იგი, საკანონმდებლო ინიციატივის შესაძლებლობას ხელიდან ვერ გაუშვებს ან, უფრო სწორად, მას ვინ გაამვებინებს ხელიდან ამ შესაძლებლობას. მუდამჟამ უნდა გვახსოვდეს ახალი უზენაესი საბჭოს ამრჩევის (ხალხის) ფაქტორი. ასე თუ ისე, ამ ეტაპის დემოკრატიისათვის დამახასიათებელი შესაძლებლობის კვალობაზე არჩეული უზენაესი საბჭო, სურს ეს მას თუ არა, მაინც გადაიქცევა ცენტრის მიმართ ოპოზიციად. ამ უზენაესი საბჭოს ცენტრისადმი ოპოზიციად გარდასახვა კი დაიწყება მაშინ, როცა იგი თავის უპირველეს საკანონმდებლო მისიას შეასრულებს — აირჩევს ეროვნულ აღმასრულებელ ხელისუფლებას — მთავრობას, ხოლო ამ უკანასკნელს, თუკი იგი პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს ცხოვრებაში არ გაატარებს, — მოუწევს გადადგომა (ცხადია, არც პარლამენტური კრიზისი და მისი გადადგომაც არ არის გამორიცხული). ამიტომ, მხოლოდ „მრგვალი მაგიდის“ კონტექსტში (რატომ მაინცა და მაინც მის კონტექსტში, როცა „წიწილები“ — პარლამენტარები — შემოდგომაზე უნდა დავთვალოთ) სამოცდაათწლიანი ისტორიის ფორმალიზმების განხილვა, მეტი რომ არა ვთქვა, არასწორად მიმაჩნია.

ახლა ასეთი რამ წარმოვიდგინოთ: ვთქვათ, ლიტვაში ჩატარებულიყო ეროვნული კონგრესის არჩევნები და ვ. ლანდსბერგისი გამხდარიყო მისი თავმჯდომარე. თქვენ სავსებით სამართლიანად აღნიშნავთ, რომ ცენტრი ისეთ ობიექტურ პირობებში გაყენებს, შენი ნების თავისუფლების დემონსტრირებას ვერ მოახდენო. ასეთ ვითარებაში ცენტრი ლანდსბერგისს, იგი რომ ლიტვის უზენაესი საბჭოს კი არა, ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე რომ ყოფილიყო, ნაკლებ ცუდ დღეში ჩააგდებდა? ცხადია, არა. უფრო მეტიც, ცენტრი არც დაელაპარაკებოდა მას, შეიქმნებოდა ხელისუფლების ვაკუუმის ვითარება, რაც პოლიტიკიური კრიზისს უფრო გაამწვავებდა.

თქვენ მიგაჩნიათ, რომ „უზენაეს საბჭოზე იმედების დამყარება სრული უაზრობა, პოლიტიკური გულუბრყვილობა და უმწიფრობაა. უზენაესი საბჭო ეს არის ორგანო, რომელსაც ბევრის გაფუჭება შეუძლია, კარგის გაკეთების ძალა კი, რეალურად არა აქვს“. თქვენ ამ კატეგორიულ განცხადებას იმიტომ აკეთებთ, რომ აჩვენოთ ეროვნული კონგრესის ფუნქცია, მაგრამ დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ეროვნულ კონგრესს ფუნქცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუკი იარსებებს უზენაესი საბჭო, ხელისუფლების (როგორიც არ უნდა იყოს ეს ხელისუფლება) ორგანო. ეროვნულ კონგრესს თავისი ეროვნული ფუნქციის გასრულება შეეძლება მხოლოდ და მხოლოდ ისეთ შუამავალზე, საშუალედო რგოლზე გავლით, როგორიცაა უზენაესი საბჭო. ამიტომ ვერ მარწმუნებს თქვენი მსჯელობა იმის შესახებ, რომ, თ. ა საქართველოს მთელი მოსახლეობის 50% მონაწილეობას მიიღებს კონგრესის არჩევნებში, საერთაშორისო სამართლის ნორმებით, იგი მოიპოვებს იურიდიულ სტატუსს. კი ბატონო, მოიპოვებს, მაგრამ, ნაკლები იურიდიული სტატუსი ექნება მრავალპარტიულ უზენაეს საბჭოს, რატომ არ იქნება იგი ქართველი ერის ნების გამოხატულება?

ამ კითხვებზე, ფაქტობრივად, თქვენვე იძლევთ დამაჯერებელ პასუხს, ოღონდ ეგაა, რომ ამ პასუხებით თქვენ თვით აბათილებთ ზევით მოტანილ კატეგორიულ განცხადებას. როცა თქვენ აღწერთ უზენაეს საბჭოსა და ეროვნულ კონგრესს შორის შესაძლო პარტნიორობას, აღნიშნავთ, რომ, „თუკი უზენაეს საბჭოში იქნებიან ინტელიგენციიდან პატიოსანი და რაც მთავარია, ვაჟკაცური ბუნების ადამიანები, რომლებიც უზენაეს საბჭოს გამოაცხადებენ კოლონიური თვითმმართველობის ორგანოდ, ხოლო საქართველოს — კოლონიად, მაშინ ურთიერთთანამშრომლობის შესანიშნავი შესაძლებლობა შეიქმნება“. .

ამ ვარაუდით, თქვენ უკვე აღიარეთ, რომ ეროვნულ კონგრესს ეროვნულ-პოლიტიკური ფუნქცია შეიძლება გააჩნდეს მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ იარსებებს დემოკრატიული უზენაესი საბჭო. ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ ამგვარ ვითარებაში არც ერთი არ იქნება ხელისუფლების ორგანო. ამგვარი განცხადებით გამოდის, რომ უზენაესმა საბჭომ არ უნდა აირჩიოს აღმასრულებელი ხელისუფლება — მთავრობა, რაც ასევე ვაკუუმს შექმნის, ისედაც არსებულ კრიზისს უფრო გაამწვავებს, ანარქიას დაამკვიდრებს და საერთოდ უმართავს გახდის პოლიტიკურ პროცესს.

არ ვიცი, თუ რას ეფუძნება თქვენი ოპტიმიზმი, როცა ამბობთ, რომ ეროვნული კონგრესის არჩევით ეკონომიკური ბლოკადა სრულიად გამორიცხებს და საბჭოთა სტრუქტურებიდან უაღრესად მშვიდობიანი ფორმებით ამოვვარდებითო. ღმერთმა გისმინოთ, მაგრამ ამგვარი „ამოვარდნა“, ერთობ მაეჭვებს. „ამოვარდნა“ კი შეიძლება მოხდეს, მაგრამ სად „ჩავვარდებით?“

აი, ამ კითხვას უნდა გავცეთ ყველამ პასუხი!..

გერმანე ფაცაცია

30. 08. 90.

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ მერაბ კოსტავას ფონდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთისნიერი კაცი

ერთხელ, გივი ლოგუასთან სტუმრობისას, მისგან ისეთი რამ მოვისმინეთ, ეთიკის ყველაზე საუკეთესო სახელმძღვანელოს რომ დაამშვენებდა: ქართველ მთიელ გლეხკაცს, ტრადიციულობისა და უბრალოების, ქართული ზნეობრიობისა და სინდისიერების განსახიერებას, ექსკურსიაზე მყოფი უცხოელები აახლეს თურმე. გლეხკაცი, რაც რამ კი ებადა, იმით გაუმასპინძლდა სტუმრებს, ისინიც ამით მოხიბლულან უსაზღვროდ, რადგან ეზიარნენ მათთვის არნახულ, გაუგონარ, განუმეორებელსა და უნიკალურ სინამდვილეს. გამომშვიდობებისას ერთ-ერთ სტუმარს თვალი დაუდგამს გლეხკაცის საცხოვრისის კედელზე გაკრული მცირე ზომის გლეხკაცისეული ფარდაგისათვის და მომყიდეო, უთხოვია. მან იუარა თურმე. უცხოელი უმატებდა და უმატებდა საფასურს. მაგრამ გლეხკაცი გაჯიქებულა და უთქვამს — შენი ქვეყანაც რომ მიბოძო, ამას მაინც ვერ მოგყიდიო. სტუმრის კითხვაზე, — თუ რატომო, ასე ღარიბი ხარ და გამდიდრდებიო, მას უპასუხნია: დაღლილ-გასავათებული შინ როცა ვბრუნდები, ამ ფარდაგს გავხედავ და ვმშვიდდებიო...

იმ გლეხკაცივით სუფთა და იმ ფარდაგივით დამამშვიდებელი კაცი იყო გივი ლოგუა, ამ დღეებში სამოცი წლისა რომ გახდებოდა და აგერ წელიწადზე მეტი მიილია, რაც იგი მარადისობამ მიითვალა. ჩვენს მეხსიერებაში დარჩა ხატი, რომელიც, გლეხკაცის ფარდაგისა არ იყოს, ყოველთვის დაგვამშვიდებს. დღესაც ვგრძნობთ და ვიგებთ, რომ მასთან ურთიერთობა, რაც ასე ჩვეულებრივად გვეჩვენებოდა, გასაოცარი ყოფილა თურმე. იგი იმგვარ უხილავ არეალს ქმნიდა თავის გარშემო, რომ გეგონებოდა თითქოს ერთბაშად შეიცვალაო ყველაფერი, გასუფთავდა და გაკეთილშობილდაო სივრცე-გარემო, რომელშიც ყოველდღიური ყოფა დაბუდებულა. განათლებით ფსიქოლოგი, უნივერსიტეტის თეთრი კედლების, სიწმინდის იპოსტასის საიდუმლოებებს ნაზიარევი ჩვენი გივი, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ მოსცილებია მის ხიბლს, მისგან შესისხლხორცებულ ჭეშმარიტებას თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლობაში უმრავლებდა და უბრუნებდა თაობებს.

უაღრესად დახვეწილსა და ინტელიგენტურს, ინტელექტუალურსა და კულტურულს, სწორედ კულტურის თემა აწვალებდა მუდამჟამს, მაგრამ ბჭობას ყოველთვის ოჯახიდან იწყებდა, რამეთუ ღრმად სწამდა, რომ ერის კულტურა ოჯახიდან იწყება. მის ამ, ჩვენთვის მახლობელ, რწმენას გაეჩნდა კიდეც ერთი, საშინელი და დრამატული ქვეტექსტი, რომლის შინაარსს ყმაწვილკაცობაში ჩასწვდა. იგი უშუალოდ შეესწრო ავბედობისა და ავგიორგობის ჟამს ავსულთა მიერ შეთითხნილი ე. წ. „შეგრელთა საქმის“ გამო დევნილი მამის სასოწარკვეთას, ბინაში ცივი ტყვიის გამაყრუებელ გასროლას, როცა მამას, სამართლისა და სამართლისაგან ხურგშექცეულს, თავისთავისათვის განაჩენი გამოჰქონდა. იმასაც ახლა ვაცნობიერებთ, თუ როდიდან ეჭირა გული ხელით რაინდული გარეგნობის ამ ბრგე ვაჟკაცს...

ამგვარ, მრავალტრაგიკულ სიტუაციებს ძალუმად ნასაზრდოებს, იმდენი სითბო და სიყვარული გააჩნდა, რომ სწორედ მასზე ითქმოდა, ტრაგედიით განწმენდილიაო! სიყვარული კი მისი სულის თანამდევი თემა იყო მართლაც, რაც მან ოჯახისა და სიყვარულის შესახებ სამეცნიერო ნაშრომები დაგვიტოვა, მრავალი გამოქვეყნებული და მრავალიც — გამოუქვეყნებელი, არაერთხელ წაადგება სანთლად და ლამპრად მის სარუდუნებელ საქართველოს, მისი თავისუფლებისათვის ანთებულ ახალგაზრდა თაობებს.

გივი ლოგუა ერთნაირად დააკლდა მის გამზრდელ უნივერსიტეტსა და უნივერსიტეტში მის მიერ აღზრდილ თაობებს, ქართულ პრესას, ტელევიზიას, ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ მეცნიერებას, ჩვენ, სხვადასხვა თაობის მის ახლობლებსა და მეგობრებს, დამდნარ, ჩამქრალ სანთელს დამსგავსებულ დედასა და მასსავით ტრაგიკულ ძმას, მისი გენით სავსე ვაჟიშვილსა და სრულიად საქართველოს, მაგრამ მის მიერ დატოვებული კვალი და ხსოვნა, გლეხკაცის მიერ მოქსოვილ ფარდაგს ჰგავს, რომელიც გვამშვიდებს და მოგვიწოდებს, ვიცხოვროთ და ვიღვაწოთ ისე, როგორც ეს ღვთისნიერი კაცი ცხოვრობდა.

ნანი ბრეგვაძე
სოფიკო ჭიაურელი
მარიამ ბაუერი
მალხაზ ბებურიშვილი
ზაზა კახიანი
კოტე მახარაძე
ნოდარ მალოგლიშვილი
ოთარ მელქინეთუხუცესი
ნოდარ ნათაძე
ირაკლი უჩანეიშვილი
ბერმანე ფაცაცია

პროგლემა

„ნუ დაკარგავ ძველსა გზასა“...

იუნესკოს ეგიდით მიმდინარეობს ე. წ. „აბრეშუმის დიდი გზის“ ხსვადასხვა ხაიუბილეო ღონისძიებანი. მასში თითქმის მთელი მსოფლიო არის ჩაბმული. რა ხიტყვა შეიძლება თქვას ამ საქმეში საქართველომ, ქვეყანამ, რომლის ტერიტორიაზეც გადიოდა ამ გზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგისტრალი და რომლის სახალხო მეურნეობაშიც აბრეშუმს უხსოვარი დროიდან ერთ-ერთი წამყვანი როლი უთამაშია? ამ მხრივ საკმარისია ითქვას, რომ მეაბრეშუმეობის კვალს ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთანვე ვხვდებით და იგი მუდამ ჩვენი ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი სამეურნეო დარგი იყო. ხალხის ცხოვრებაში, მის ზნეობრივ გაგებაში თუთის ხე, ვაზთან ერთად, საკულტო მცენარედ აღიქმებოდა (ამიტომაც ჩენდა მტერი ვენახთან ერთად, თუთის ხეებსაც), ხოლო ქართული აბრეშუმი თავისი უნიკალური თვისებებით, უპირველესი მოთხოვნილებით სარგებლობდა. რაც შეეხება ეროდენობას, აქაც ისტორიული წყაროები მაღალ დონეს გვიდასტურებენ, მაგალითად, მეფე-პოეტი თეიმურაზ I მარტო საჩუქრად ყოველწლიურად 500 ფუთ აბრეშუმს არიგებდა.

საბწუხაროდ, ჩვენი სახალხო მეურნეობის ეს დარგიც დღეს ისეა დაკნინებული ბუნებრივ-ისტორიული განვითარების გაუკუღმართებით, რომ ძირეული სტრუქტურული ცვლილებების გარეშე, მალე „ქართლის ცხოვრებიდან“-ღა თუ ამოვიკითხავთ მის ძველ დიდებაზე რაიმეს. უკუღმართი სამეურნეო პოლიტიკის შედეგად „მეცნიერულად“ მოვუღეთ ბოლო საუკუნოვან თუთის პლანტაციებს და მასთან ერთად ჩვენს მარჩენალ და მაცოცხლებელ ეროვნულ ეკონომიკას: ისე რომ, ძველი გზის „დაგდებამ“ უამრავი თავსატეხი გაგვიჩინა ამ მხრივაც: ჩვენი ეროვნული ცხოვრების ვერცერთი პიროვნული თუ საერთო-ეროვნული ტრაგედია ვერ შეედრება იმას, რაც ერის ძირითადმა მწარმოებელმა ძალებმა განიცადეს საქართველოს მთასა თუ ბარში. შაგრენის ტყავივით დამცრობილ ამ ძალებს ახალი სიცოცხლე უნდა მივცეთ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა მოძებნილ იქნას წინაპართა მიერ გაკვალული ეროვნული ცხოვრების ბუნებრივი გზა — იავარქმნილი ჩვენი სახალხო მეურნეობის კვლავ მის ძველ კალაპოტში დაბრუნების კონკრეტული გზები და საშუალებანი, საქართველოს მთიხა და ბარის პოტენციური შესაძლებლობანი. მსოფლიო ბაზარზე აბრეშუმზე წარმოშობილი არნახული ბუმიხა და ხელოვნურიდან ბუნებრივ მასალებზე გადასვლის გლობალური ტენდენციის პირობებში, ეკოლოგიურად ეს ყველაზე ხელსაყრელი სამეურნეო დარგი იმავდროულად ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე დიდ პოტენციად გვეხაზება. ეკონომიკური გათვლები ადასტურებენ, რომ თვით არსებული ღატაკური მატერიალური ბაზის პირობებშიც კი, საქართველოს დღესვე შეუძლია აბრეშუმის ნედლეულის გატანით ერთბაშად რამოდენიმე ათეული მილიონი დოლარის ვალუტა მიიღოს, ხოლო ახალ სამეურნეო-ორგანიზაციულ და ტექნოლოგიურ საფუძვლებზე განვითარებულს, ძალუძს ყოველწლიურად ასეული მილიონობით ვალუტა შემოიტანოს. ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მსოფლიო ბაზარზე ქართული აბრეშუმის მაღალი კონკურენტუნარიანობა და უნიკალური ტექნიკური თვისებები, მათგან გამომდინარე, მასზე მზარდი მოთხოვნილება და სტაბილური ფასები უახლოესი ათწლეულებისათვის ამ დარგის პრიორიტეტულ განვითარებას თხოულობენ. **დარგის სპეციფიკა და მისი ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი იმასაც გვიჩვენებს, რომ საქართველოს პირობებისათვის ყველაზე ეფექტური სამეურნეო-ორგანიზაციული ფორმა კერძო და სააქციო წარმოების განვითარება შეიძლება იყოს.**

ეს მარტო აბრეშუმის წარმოებას როდი ეხება და მითუმეტეს გაუგებარია, რომ დღემდე არ ხერხდება შესაბამისი სამართლებრივი ნორმების მიღება ჩვენთან, მაშინ, როცა საკავშირო ხელისუფლებამ უკვე საკანონმდებლო სახე მისცა სააქციო საზოგადოებების, ფასიანი ქაღალდებისა და სააქციო ბირჟების ორგანიზების საქმეს, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა სამეურნეო აქტივობა ცენტრშიც და რეგიონებშიც. საბაზრო ეკონომიკაზე შედარებით უმტკივნეულოდ გადასვლისათვის ელცინისა და მისი თანამოაზრეების ერთ-ერთი მთავარი იდეაც ხომ წარმოების სააქციო ფორმის განვითარებაში მდგომარეობს. ნებისმიერი საქმის თავი და თავი მაინც პრაქტიკაა და ამდენად, სამართლებრივი ნორმების გარკვეულმა დეფიციტმა ხელი არ უნდა შეგვიშალოს ეროვნული ეკონომიკის ახალ სამეურნეო-ორგანიზაციულ საწყისებზე გადაყვანაში.

მთავარი, რაც დღეს გვჭირდება, სიტყვიდან საქმეზე გადასვლაა. მისასალმებელია, რომ მეაბრეშუმეობის რიგ ტრადიციულ რეგიონებში, კერძოდ, კახეთში ამ მხრივ გადადგმულია პირველი კონკრეტული ნაბიჯები. ამის შედეგად შეიქმნა პირობები, რომ ჩამოყალიბდეს მეაბრეშუმეობის სააქციო საზოგადოება. იგი შეიძლება მისაბაძი მაგალითი გახდეს ამ და ეროვნული ეკონომიკის სხვა ნებისმიერი სამეურნეო დარგისათვის: საჭიროა ცალკეულ რეგიონებში დაწყებული საქმე საერთო-საქვეყნო საქმედ ვაქციოთ, რამეთუ ეროვნული ეკონომიკა, განსხვავებით კოლონიურისგან, ცენტრიდან შეკვეთებითა და დიქტატით არ იქმნება, იგი მხოლოდ ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმმართველობაზე დაფუძნებულ რეგიონალურ ეკონომიკათა განვითარებით მიიღწევა.

ჩვენი იდეალი უნდა გახდეს ის, რომ ყველა ქართველი ოჯახი ჩაებას აბრეშუმის ნედლეულისა და მისი გადამუშავების ერთიან ტექნოლოგიურ პროცესში. იგი საერთო-ეროვნულ საქმედ უნდა ვაქციოთ. ამით ჩვენ, ერთი მხრივ, პირველ ნაბიჯს გადავდგამთ მიწისა და შრომისაგან ქართველი კაცის გაუცხოებისა და მისგან გაპირობებული, თანამდებობა-დიპლომომანიაობის პარაზიტული ფსიქოლოგიის დაძლევის გზაზე, სულიერი და მატერიალური დეგრადაციისაკენ რომ მიჰყავს მთელი ერი, და მეორე მხრივ, თავიდანვე მომზადებული შევხვდებით საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის უარყოფით სოციალურ შედეგებს. **სამეურნეო ფუნქციადაკარგული ერი არ შეიძლება ნორმალურად განვითარდეს — მხოლოდ შრომა და თავისუფლება შეიძლება გახდეს დამოუკიდებელი საქართველოს გზამკვლევი. ისტორიაც და თანამედროვეობაც, ჩვენიც და სხვისიც, იმას გვასწავლის, რომ სხვა გზა, თვით ყველაზე გულუხვი დახმარებისა, თუ ქვეყნიერებიდან ჩათვლით, კაცისა, თუ ქვეყნის ბედნიერებისაკენ არ არსებობს.** ამიტომაც, საქართველოს ოთხივ კუთხივ სოკოებივით მომრავლებული და ხშირ შემთხვევაში, უმაწვილესი საქველმოქმედო საზოგადოებების ნაცვლად, ათასგზის სჯობს სხვადასხვა დარგობრივი სააქციო საზოგადოების შექმნა. რაც მალე მოხდება ეროვნული ცხოვრების ასეთი სასურველი შემობრუნება, მით უკეთესი ჩვენთვის: ერმა და ქვეყანამ არ შეიძლება დიდხანს იარსებოს მარტოოდენ კეთილი სურვილებით — ჩვენი გზამკვლევი რეალური საქმე უნდა გახდეს უპირველესად. ინტელექტუალურმა და მწარმოებელმა ძალებმა ერთობლივად უნდა ზიდონ ამ გზის ჭაპანი. სხვადასხვა პარტიებად განთვითეულებული ქართველების ესოდენ სანატრელი ეროვნული კონსოლიდაციაც მხოლოდ ამ რეალურ „საერთო ნიადაგზე“ შეიძლება განხორციელდეს. არავისი იმედი არ უნდა გვქონდეს, გარდა საკუთარი თავისა — სარგებელს რომ არ გამოელოდეს, ჩვენს მიწა-წყალზე ისეთი არავინ მოვა...

ეს წერილი არის არა მარტო ამ გზისაკენ პატრიოტული მოწოდება, არამედ კონკრეტული ვალდებულებაც, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ეროვნული ეკონომიკის, კერძოდ კი, ქართული აბრეშუმის აღორძინების საშვილიშვილო საქმეში. ამ მიზნით როგორც თბილისის, ისე პერიფერიების ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა, მეაბრეშუმეობის სპეციალისტებთან და სამეურნეო-ადმინისტრაციულ მუშაკებთან ერთად, გადაწყვიტეთ შეექმნათ სააქციო საზოგადოება — „ქართველი აბრეშუმის“ საორგანიზაციო კომიტეტი. უკვე შემუშავებულია სააქციო საზოგადოების წესდება, მისი სტრუქტურისა და ფუნქციონირების ძირითადი სამეურნეო-ორგანიზაციული პრინციპები, რიგ რეგიონებში გამოყოფილია თუთის პლანტაციების გაშენებისათვის, აგრეთვე, გამოსაკვები და სასაშრობო-სასაწყობო ნაგებობებისათვის მიწის გარკვეული ფართობები, მიმდინარეობს მოლაპარაკება რიგ კომერციულ ბანკებთან ძაფამოსაღები და აბრეშუმსაქსოვი ახალი ტექნოლოგიის დანერგვის დაფინანსებისათვის. საზოგადოების დამფუძნებელი კონფერენციის ჩატარება ნავარაუდევია სექტემბრის მეორე ნახევრისათვის.

მოვუწოდებთ ყველას, ვისაც სურვილი აქვს თავისი წვლილი შეიტანოს სააქციო საზოგადოების ორგანიზებასა და მის შემდგომ წარმატებით ფუნქციონირებაში, ითანამშრომლოს სააქციო საზოგადოება „ქართული აბრეშუმის“ საორგანიზაციო კომიტეტთან.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ალ. უაზგეგის გამზირი, № 42. ტელეფონი 39-41-81.
საორგანიზაციო კომიტეტის სახელით
ელგერდ გატიაშვილი

ლორძინება

არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ლორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

მსაჯი თამაშზე არ ცხადდება...

XXIV ტურში რამდენიმე საინტერესო შეხვედრა უნდა გამართულიყო ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლების მონაწილეობით, მაგრამ ჩვენი არჩევანი მაინც ზუგდიდის „ოდიშისა“ და გალის „მზიურის“ მატჩისკენ შეჩერდა.

მეზობელი რაიონების ამ ორი საინტერესო კოლექტივების შეხვედრა ყოველთვის საინტერესოდ და მეტად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს და ასე იყო ახლაც. თუმცა, ამაზე ცოტა ქვემოთ...

როგორც მოგეხსენებათ, წლევანდელ სეზონში არაერთი სტადიონი დაზარალდა ზოგიერთი ვაიგულშემატკივარის თავაშვებული საქციელის გამო, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მაყურებელი მინდორზე გადადიოდა და სწორედ იქ ლამობდა ურთიერთობების გარკვევას მსაჯებთან თუ ფეხბურთელებთან. და, აი ზოგიერთი სტადიონის მესვეურებმა ბოლოს და ბოლოს მშვენიერი გამოსავალი იპოვეს — თავიანთ მოედნებს რკინის ღობე შემოავლეს. რა თქმა უნდა, ეს ერთი დღის საქმე არ არის და თანაც საკმაოდ სოლიდური თანხა ჯდება, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ არც ისეთ ასტრონომიულ რიცხვებში გამოიხატება შემოღობვისთვის საჭირო ფულის რაოდენობა, რომ უმაღლესი ჯგუფის მონაწილე გუნდებმა ვერ გადაიხადონ. ასე მაგალითად, ზუგდიდში შემოღობვა 20 დღეში დაამთავრეს და ასულ 47 000 მანეთი დაჯდა...

ახლა კი უშუალოდ ამ პრინციპული შეხვედრის შესახებ, რომელმაც ზუგდიდში გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია და არა მარტო ზუგდიდელებისა, — მრავლად იყვნენ ფეხბურთის მოყვარულნი გალიდანაც, რომლებიც მმობლიური გუნდის მხარდასაჭერად ჩამოვიდნენ.

...ზუგდიდელთა პირველივე შეტევა გუნდის თავმა მელორ ბიგვავამ წამოიწყო და ძალზე სახიფათოდაც, რომლის შემდეგაც გალელთა მცველები იძულებულნი იყვნენ მასპინძელთა ყველაზე საშიში თავდამსხმელი აკრძალული ილეთით შეეჩერებინათ. უკვე პირველი წუთებიდანვე გამოიკვეთა, რომ „ოდიშის“ წინა ხაზი აშკარად სჯაბნიდა მოწინააღმდეგეთა მცველებს, რაც, ჩვენი ზარით იმით იყო განპირობებული, რომ ბოლოს და ბოლოს მთელი ძალით ათამაშდა ზუგდიდელთა მეორე თავდამსხმელი რიჩარდას ზდანჩუსი. „ოდიშის“ შეტევები კი, როგორც წესი მარცხენა ფრთიდან იწყებოდა, სადაც საკმაოდ აქტიურობდნენ დევი ჯავაშვილი და მერაბ თევზაძე. სწორედ ჯავაშვილის აქტიური თამაშის შემდეგ გავიდა პირველი გოლიც, როდესაც მის მიერ ფლანგიდან ჩამოწოდებულ ბურთს კარგად შეურჩია ადგილი მერაბ ჯიქიამ და თავით გადაგზავნა მეტოქის კარში. გაშვებული გოლის შემდეგ გალელები გააქტიურდნენ და ერთი მწვავე კონტრიერიშიც განახორციელეს, მაგრამ დავით ჩხეტიამ ზუგდიდელი მცველების „საჩუქარი“ ვერ გამოიყენა. ზუგდიდელებმა კი თავიანთი მეორე სახიფათო მომენტი კვლავ გოლით დაამთავრეს. მელორ ბიგვავამ სისწრაფეში რამდენიმე მეტოქის მცველი ჩამოიტოვა და პირისპირ გავიდა მეკარესთან, მაგრამ გიორგი მაკასარაშვილმა იმარჯვა და ბურთი მოიგერია, რომელიც შეუჩერებლივ გადაგზავნა ცარიელ კარში ზდანჩუსმა და „მზიურის“ ცენტრალურ მცველს გოჩა ფარფალიას ისღა დარჩენოდა, რომ ხელით მოეგერიებინა ბურთი... პენალტი კი საკმაოდ ოსტატურად მერაბ ჯიქიამ შეასრულა და კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი. პირველი ტაიმის მიწურულს კი გალელთა მცველი ვაიდას პეტრაუსკასის შეცდომა კარგად გამოიყენა მისმა ყოფილმა თანაგუნდელმა ვილნიუსის „ჟალგირისიდან“ რიჩარდას ზდანჩუსმა და ანგარიშიც სამამდე გაზარდა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ გალის „მზიურის“ ასეთ თამაშს არ მოველოდით, რადგანაც მეორე წრეში გუნდმა საკმაოდ გააუმჯობესა თამაშის ხარისხი, მაგრამ ზუგდიდში მათ ვერაფერი დაუპირისპირეს მეტოქის საკმაოდ ორგანიზებულ შეტევებს. ერთადერთი ფეხბურთელი, ვინც პირველ ტაიმში „მზიურის“ რიგებში გამოირჩეოდა, მაშუკა ჯღარკავა იყო.

მეორე ტაიმიც იგივე სცენარით წარიმართა — „მზიური“ ცდილობდა თამაშში გარდატეხის შეტანას, „ოდიში“ კი საკმაოდ მწვავე კონტრშეტევებს ახორციელებდა. მელორ ბიგვავას მორიგი რეიდის დროს კი ტრავმა მიიღო და ვერ შეძლო მატჩის გაგრძელება „მზიურის“ კაპიტანმა გოჩა ფარფალიამ და დაცვის ცენტრში ბზარი გაჩნდა. თანაც მეორე ცენტრალური მცველი პეტრაუსკასი ვერც იქამდე ასწრებდა ზონის შევსებას და ამიტომაც ზუგდიდელები მეტოქის საჯარიმოში სრული ბატონ-პატრონები გახდნენ. სულ მალე კი მეოთხე ბურთიც გავდა — მარჯვენა ფრთიდან ჯიქიამ კარის გასწვრივ ჩააწოდა ბურთი და მერაბ თევზაძემ შეუჩერებლად გაგზავნა მეტოქის კარში — 4:0. „ოდიშის“ ფეხბურთელები არ ცხრებიან და სულ მალე მერაბ შეროზიას აკრობატულ ნახტომში შესრულებული დარტყმა ოდნავ სცდება კარს. რაც შეეხება „ოდიშის“ ლიდერს მელორ ბიგვავას, მან საკმაოდ ბევრი სახიფათო მომენტი შექმნა, მაგრამ თავისდა სამწუხაროდ ვერცერთი ვერ გამოიყენა. ისე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დღესდღეობით ბიგვავა საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი ფორვარდია და რაც ყველაზე მთავარია, საკმაოდ სტაბილური თამაშით გამოირჩევა. ასევე ცალკე აღნიშვნის ღირსია „ოდიშის“ მარცხენა მცველი, 21 წლის დევი ჯავაშვილი, რომელიც ვრთ-ერთი საუკეთესო იყო ამ მატჩში.

რაც შეეხება „მზიურს“, უნდა ითქვას, რომ მეორე ტაიმში მხოლოდ გამოცდილი, 36 წლის ალკაზ ქანთარია ცდილობდა თამაშის გამწვავებას, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მატჩის მიწურულს კობა ხარჩილავა შეეცადა შორი მანძილიდან დარტყმებით ეცადა პრესტიჟის გოლის გატანას, მაგრამ დარტყმები ან არაზუსტი იყო, ან კიდეც გელა ჭანტურია ხვდებოდა ადგილზე. დაბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ უაღრესად სუსტად და უპასუხისმგებლოდ ჩაატარა ეს შეხვედრა გალის „მზიურის“ ცენტრალურმა ნახევარმცველმა ვიორგილიუს ბალტუშნიკასმა და, ჩვენი აზრით, მისი ასეთი უფერული თამაში აშკარად დაეტყო გუნდს...

რაც შეეხება მსაჯობას ამ მეტად პრინციპულ და საინტერესო მატჩში, ვფიქრობთ, რომ მათ კარგად გაართვეს თავი ამ ძნელ მისიას, რაშიც მატჩის კომისარი თემურ ფანიაშვილიც დაგვეთანხმა. ისე, უნდა აღინიშნოს, რომ მატჩის მთავარ მსაჯად დანიშნული მურთაზ მირცხულავა თამაშზე არ გამოცხადდა და მისი მოვალეობა ზურაბ ჯინჭარაძემ შეასრულა, ხოლო ერთ-ერთი გვერდითი მსაჯი კი ადგილობრივი არბიტრი გახლდათ. კიდევ კარგი, რომ ყველაფერი ნორმალურ ფარგლებში წარიმართა, თორემ, ვინ იცის, ეს მართლაც პრინციპული შეხვედრა რა ფორმებს მიიღებდა... იმედია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იმსჯელებს ამ ფაქტის შესახებ, თანაც, როგორც გავიგეთ, ეს შემთხვევა მირცხულავასთვის პირველი რა ყოფილა.

დასასრულ გაგაცნობთ ამ შეხვედრაში მონაწილე გუნდების შემადგენლობებს:

„ოდიში“: ჭანტურია, ჭაჭუა, სართანია, თუთბერიძე, ჯავაშვილი, ჯიქია, მალანია (ვაინეიკისი), შეროზია (გოგოხია), ბიგვავა, ზდანჩუსი (ტიბუა), თევზაძე.

„მზიური“: მაკასარაშვილი (გეთია), კ. კვეკვესკირი, ფარფალია, (თ. ღურწკაია), პეტრაუსკასი, დ. ღურწკაია, გაბისონია (აბშილავა), ჯღარკავა, ჩხეტია, ბალტუშნიკასი, ხარჩილავა, ჭანთარია.

გია ტუხაშვილი,
ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.

XXIV ტურის სხვა შეხვედრები ასე დასრულდა:

„შევარდენი-1906“ — „იბერია“ 1:3;
„სამგურალი“ — „მერცხალი“ 3:1;
„კოლხეთი“ — „ბათუმი“ 0:4;
„ლიახვი“ — „კოლხეთი-1913“ 1:8;
„ამირანი“ — „ივერია“ 2:2;
„დილა“ — „გორდა“ 0:3;
„ცხუმი“ — „გურია“ 1:3;
„ქუთაისი“ — „ხანავარდო“ 1:0.

მომხმარებელი რომ კმაყოფილი დარჩეს

დიდი წარმატებით მიმდინარეობს შეკვეთების მიღება კომპლექსურ გამოცემებზე (ჯ. სტაინბეკის საქვეყნოდ გახმაურებული რომანი „მრისხანების მტევნები“; დღევანდელ საჭირბოროტო მდგომარეობაზე შექმნილი მწვავე პუბლიცისტური წერილების „კრებული — „ვის უხმობს ზარი“; რუსუდან ფეტვიაშვილის მიერ ფერადი და არაფერადი ნახატებით მდიდრულად ილუსტრირებული რჩეული ქართული ხალხური ზღაპრებისა და ლეგენდების კრებული „იყო და არა იყო რა“; „უნივერსალური საოჯახო წიგნი“, რომელიც მოიცავს საქართველოს ყველა კუთხის სუფრის დამამშვენებელი საჭმელების მომზადების ძველებურსა და თანამედროვე რჩეულ რეცეპტებს, მსოფლიოს ხალხთა საჭმელების მომზადების ორიათასამდე რჩეულ რეცეპტს, მეცნიერულად დასაბუთებული კვების საფუძველზე სიცოცხლის გახანგრძლივების წესებს და სხვა; ჰ. სენკევიჩის „ვიდრე ჰხვალ, უფალო!“, გინესის „მსოფლიო საოცრებანი“. ილუსტრირებული „მსოფლიოს ხალხთა ანეკდოტები“; ა. გელოვანის „მარად ცოცხალი ხელოვნება“; ილუსტრირებული ბიბლია და სხვა). უფრო ვრცლად იხ. „მამული“ № 6, გვ. 10; „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი“ № 21, გვ. 7. მაგრამ, ყოველივე ამასთან დაკავშირებით, აუცილებლად გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: მსურველები რეკავენ, მოდის წერილებიც, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები მოითხოვენ ამ მეტად მნიშვნელოვან ნაწარმოებთა შეკვეთების თანაბრად განაწილებას არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ რაიონების მცხოვრებლებზეც. მოთხოვნა სამართლიანია. და მაინც, როგორც პრესა შენიშნავს, შემოთავაზებული წიგნების ტირაჟი რამდენიც გნებავთ იყოს, ყველას ვერ დააკმაყოფილებს, მაგრამ, შეძლებისდაგვარად, იგი ყველგან უნდა განაწილდეს. ამიტომ ადგილობრივმა ორგანოებმა (კულტურის განყოფილებებმა, წიგნის მოყვარულთა საზოგადოებებმა თუ კერძო ენთუზიასტებმა) დაბეჯითებით უნდა მოსთხოვონ შეკვეთების მიმღებებს (თბილისი, ტელეფონი: 98-51-53; 98-23-47; 37-23-29.) თავიანთი მსურველების დაკმაყოფილება. მათ მსურველებს შეკვეთების მიმღებებიც სათანადო ყურადღებით უნდა მოეპყრან.

საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაციის განცხადება

საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაცია (სნეფ) აცხადებს, რომ სნეფ-ში გაწევრიანება შეუძლია საქართველოს ყველა მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან.

სნეფ-ში გაწევრიანება მოხდება 1990 წლის 20 სექტემბრიდან ყოველ დღე კვირის გარდა 11-დან 14 სთ-მდე ქ. თბილისში ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში (მერაბ კოსტავას ქ. № 30). გაწევრიანებისათვის საჭიროა პასპორტი და 4 ფოტოსურათი (3X4) წლიური გადასახადი 50 მანეთი.

მხოლოდ სნეფ-ში გაწევრიანებულებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ტურნირებში, რომელიც გაიმართება სნეფ-ის ეგიდით.

1990 წლის 7-დან 15 დეკემბრამდე ქ. თბილისში სნეფი ატარებს საქართველოს ღია პირველობას, ჩვენი რესპუბლიკის და უცხოელი მონარდეების მონაწილეობით. ამასთან დაკავშირებით 1990 წლის ნოემბერში გაიმართება ამ შეჯიბრების შესარჩევი ტურნირი. სნეფ-ში გაწევრიანებასთან ერთად მოხდება შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის რეგისტრაცია, რომელიც იწყარმოებს 1990 წლის 6 ნოემბრამდე. მიიღება კოლექტიური გაწევრიანების და რეგისტრაციის განცხადებები.

1991 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ყველა რეგიონში მოწყობილი ტურნირი ჩატარდება სნეფ-ის ეგიდით. სნეფ-ის იურის-დიქცია გავრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

გელით ქაშუეთთან!

ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის“ სათნოების ორდენი შეახსენებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ჰუმანიტარულ მოძრაობაში „კვირაში ერთი დღე მოყვასს“ და ეს დღე თავის ყველაზე გაჭირვებულ თანამოძმეს დაუთმოს, რომ ორდენის წევრები ტრადიციულად შეიკრიბებიან ქაშუეთის ტაძრის ეზოში შაბათს, 15 სექტემბერს, 11 საათისათვის.

ასი ყველაზე გაჭირვებული მარტოხელა ხანდაზმულისათვის სამყოფ პროდუქტებს პირადი დანაზოგიდან შეიძენენ თბილისის საქალაქო სამოძმეო-მარგალო საზოგადოების თანამშრომლები.

სათნოების ორდენი
(ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“).

ყურადღება!

ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“, რომელიც აერთიანებს სათნოების ორდენსა და შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საქართველოს საზოგადოებას, აუწყებს ასოციაციის პირველად, სარაიონო და საქალაქო ორგანიზაციებს, აგრეთვე რესპუბლიკის ბანკებსა და ყველა დაინტერესებულ პირს, რომ შეიცვალა მისი ანგარიშის ნომერიცა და ბანკიც.

ასოციაციის ანგარიშის ახალი ნომერია 000700161 მრეწვმშენბანკის ქალაქის საოპერაციო სამმართველო.

ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“

ამ გვერდზე გამოქვეყნებული მასალების ჰონორარი გადაირიცხება ხოფ. ჭუჯაბის მშენებლობის ფონდში, ასოციაცია „აღორძინების“ ანგარიშზე 100700608 მთაწმინდის რაიონის ბანკოცპანკში.

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Квершели»

ტელეფონები: მასალები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 92-21-56; წერილების კანცელარია — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, ოფსეტური წესით ბეჭდავს „ბავშვთა კურიერში“, ხიზანიშვილის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქტორი
მერაბ პალარჯიშვილი

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380008 მ. კოსტავას ქ. № 14.